

2988

4984.

ଠାଣୀରୀ

ଓଡ଼ିଆ ପାତ୍ରକାଳୀନ  
ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ

ଓଡ଼ିଆ ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ  
ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ

# ଠାଣୀରୀ ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ

ଲେଖକ

ମନ୍ଦିର ପାତ୍ରକାଳୀନ

ମୁଦ୍ରଣ  
ନଂ ୧

ଠାଣୀରୀ ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ, ଗଣନାମୂଳିକ ମାନ୍ୟବିଜ୍ଞାନ,  
 ନାମିକ, ଏହାର ଗାନ୍ଧାରିକାରୀଙ୍କାରୀ ମାନ୍ୟବିଜ୍ଞାନ,  
 ପ୍ରତ୍ୟୋଗିକ ପାତ୍ରକାଳୀନ ଓ ପାତ୍ରକାଳୀନ, ଉତ୍ସବାଳୀନ ମାନ୍ୟବିଜ୍ଞାନ,  
 ପରିବାର ପରିବାରବିଜ୍ଞାନ, ଶବ୍ଦ ପରିବାରବିଜ୍ଞାନ, ମାନ୍ୟବିଜ୍ଞାନ, ମାନ୍ୟବିଜ୍ଞାନ.

(ବ୍ୟାପାରିକ ପରିବାର)



ଶବ୍ଦବିଜ୍ଞାନ

ଶ୍ରୀମତୀ ପ. ନ. କୁମାରାଚାର୍ଯ୍ୟ, ବାବ. କୁମାର, ବାବ. ନଂ ୫,

୧୯୯୨

841.4.09

20m. 20m. 20m.




809+92

၀၁၂၁၉၆

# ၀။ၩ၇၈ ဒေဝန်ဒပ်ပမာ

ရွှေ အမိန္ဒ

မောင်ဂုဏ်ဂျာ



ရွှေ	အမိန္ဒ	
ရွှေ	အမိန္ဒ	2988.
ရွှေ	အမိန္ဒ	4982.

ပြည့်သူ ၂. ၁. ၁၂၅၀၈၊ ၁၁၃၊ ၂၂၇၇၊ ၁၄၄၇၊ N-၁

၁၃၀၈


тъфъзъфъ, зъл.



6.2

136666666666 69920

Дозволено цензурою, Тифлисъ, 31 Марта 1892 года.



Типографія Е. И. Хеладзе, Сапер. ул., соб. д. № 4.

მშას გრა ჰერაკლი, გრძნობის მცოცხლი ქი  
მწერადი,

ლომია, ოდეს განრისხდეს მარად ძმობისა მღერალი,

იტყვის მჭევრისა და გზიანისა, უპირის მართლის მწერვალი,  
არის გვალ-წრფელი, ზე-ქველი, მხნე, მსროლი, მუ-  
ფერადი.

(ხაამდროო ამიცანა)

---



ს რა არის, რა ლექსია? რა ამიცანა? ეს დაუწერია, სად დაუწერია, ან როს-  
თვის დაუწერია? ამ საკითხაებს, უკველია, სეტყ-  
ვასავით მოვდაურის მკითხველი, რომელიც კი ამ პა-  
ტარა წიგნის გადათვალიერებას შუღება და ამ საკით-  
ხაების პასუხის პოვნაც ერთი ამიცანაა (ჩეენ გა-  
მოცანა უფრო გვექართულება); დიალ, გამოცანაა  
უფრო თავსამტკრევი, უფრო ჩელად მისახევდო, კიდრე ზემოდ ამოწერილი ლექსი. მს ლექსად თბზუ-  
ლი გამოცანა თავადაც ცხადია და ავტორი, თუ რე-  
დაქტორი, ცდილა ცხალზედ კიდევ ცხადი გაეხადა. ჩა-  
იკითხეთ მართლაც ზემოდამ ქვემომდე პირველი



ასოდები თეიოთეულის სტრიქონისა, განვებ შეტის-შეტად შევის მელნით ამოწყობილი და გამოვა სახელი იმ კაცისა, რომელსაც ასეთს გუნდრუს უკმიეს ლექსის დამწერი. თუ ისიც გეცოდინებათ, რომ ეს ძე-ლებული ფორმა, აკროსტიხიად წოდებული, აეტორს აურჩევია თითქმის კულა ქართველ მოღვაწეთა ხა-სიათის აღსაწერად, მაშინ ხომ კოველს ეჭის გარე-შეა, რომ ეს ლექსი მიეწერება ვაზეთის „იურიის“ ჩელაქტორს, თ. ილია ჭავჭავაძეს.

მს ე' ეა, მაგრამ სად იყო დაბეჭდილი ზემოხსე-ნებული აკროსტიხი? ნუ გაიოცებთ, თუ ამ მეორე გა-მოცანის ახსნას ჩვენ ვიტვირთებთ და გეტუვით, რომ დაბეჭდილია თეით ილია ჭავჭავაძისავე გაზეთში (ახალე „იურია“, 1891 წ. № 147) და თუ იმისგანვე ამ არის დაწერილი, მოწონებული და ნება-დართუ-ლი ხომაა, როგორც ჩელაქტორ-გამომცემლისაგან. ნუ გაიოცებთ იმიტომ, რომ ერთ-ერთ ლიტსებად თ. ილია ჭავჭავაძისა ლექსში დასახელებულია გულ-წრფელობა და გულ-წრფელმა კაცმა მარტო სხვის შესახებ კი არ უნდა იგულ-წრფელოს, თავის ლიტ-სებასა და ნაკლულევენებას თავისეუ პირით უნდა აღიარებდეს. მაში რა დასაძრანისია, თუ მართლა თ. ილია ჭავჭავაძე იმისთანა კაცია, რომელსაც ბადალი არსადა ჰყავს, თუ შეუდარებელი „გრიმობის მცო-ხლები მწერალია“, თუ ლომია მრისხანების დროს, თუ მჟერ-მეტყველი და ლომივით ძლიერია, თუ მართ-



ლის მწერლავალი ხელში უპყრია, თუ ზნე-ქველია, მნენე, მიუფლებალი („მსრბოდა“ კი ამ შემთხვევაში არ გვასმის, რას ნაშავს) — თუ კველა ეს არის, რატომ არ უნდა სთქიას თუნდ თავისავე გაზეთში? დიალაც უნდა სთქიას და აյი ამბობს კიდეც, მაგრამ ნურავინ გაგვირისხდება, თუ ამ გულწრფელობას გულწრფელობითვე ვაგვებთ პასუხს და მოვინდომებთ იმის გარჩევას, ასაბუთებს თუ არა საქვეყნო მოღვაწეობა თ. ილია ჭავჭავაძისა ამ აკროსტინის სიტუაციას.

ჩეენ არ შეექცებით სრულიად თ. ჭავჭავაძის ლერწლს ლიტერატურაში: ეგ ლიტერატურის ისტორიის საქმეა, თუმცა „იურიის“ თანამშრომლების კალამი წინაუსწირობს ამ ისტორიას და ხშირად იმის გაზეთისავე ფელეტონებში ქება-დიდებას უძღვნის იმის ნიჭისა და შრომას. აჩრი ამ პატარა წიგნისა იქნება მშოლოდ განხილვა თ. ჭავჭავაძის მონაწილეობისა იმ საზოგადო საქმეებში, რომელიც კი ქართველობას ამ ოციოდ წელიწადში უთავებია. ბერლეთ ეს საგნად და კიცით კიდეც, როგორ ეუცხოება და შექმარიას ჩეენი სიტუაცია იმათ, რომელთაც თვალზილულად გაჩხრება მათთვის სათაყვანებელ პირის ავტორიგიანობისა მიუტევებელ ცოდვად მიაჩნიათ და აეტორიტეტის ხელ-შეხება შარა-გზაზედ ავაშკობად. ჩეენ ამთთვის არა ეწერთ და თუნდა ლომ-საეითაც განრისხდენ, გვიკისრია მათი რისხეა. ჩეენ ეწერთ იმათთვის, კისაც სჯერა და სწავს, რომ



ყოველ აფტორიტეტს პატივს უნდა უცემდეთ, უწლეს უკანონობრივობიდეთ, თუნდა ერთიდებდეთ კიდევ იმ დრომდე, ეიღო ის თავის გაელენასა და ძალას ქვეყნისთვის სასაჩვებლო საქმეს ახმარებს. მაგრამ თუ აფტორიტეტად მიჩნეულ პირს თავისი თავი ყოველის შემძლებელად, უცოდეს პაპად მოქმედება; თუ მოიწადინებს, რომ თავისი „მე“ ყოველ საზოგადო საქმეში გაუჩინოს, ყელვან იპირელოს და რაკი ძალი ქადიღს არ შესწევს, წინ-წაწევის მავიერად ხელი უშალოს და უკან დააყენოს; თუ ყოველსაც სასაჩვებლო დაწყებულებას, რაშიც მათავეობას არ არგუნებენ, ის მორიულად მოეკიდება, — მაშინ ყოველის ნამდეირლად გულ-წირველის და ქეყნისთვის მზრუნვავის მოღვაწის გალია, სთქვას: „შორს ჩეენგან ამისთანა აფტორიტეტი! უსაჩვებლო და მაენებელ კერპს ეერ ეიწამებო და არც გვიწა-მებიაო!“.

\* \* \*

მწერთ ამ სტრიქონებს და ეკისჩულობთ არამაც თუ დევნას თ. მაეჭავაძის პრმად თაყენის-მცემელთავან, დამარცხებასაც. დიალ, დამარცხებას: ამიტომ რომ, თუ ქართულის ანდაჭის ძალით პატონს პირელი მოჩივარი მართალი ჰგონია, საზო-



ვადოება, როდესაც კი ვაზეთებში პოლემიკა იმპოზიტუ-  
ბა, ეთანხმება იმას, რომელსაც უკანასკნელი სი-  
ტუმა ეკუთვნის და თ. პავჭავაძეს «მართლის მწვერ-  
ებას» ვარდა ხელთ უპყრია ისეთი საშუალება,  
რომლის ძალითაც შეუძლიან ყოველთვის უკანა-  
სკნელი სიტუაცია იკუთხნოს და თავის მოქამაოეს ხმა  
ჩაწყვეტინოს. იგია ერთად ერთის ქართულის ვა-  
ზეთის რედაქტორი და ყოველდღე შეუძლიან პასუხი  
აფის, ეინც კი იმის წინააღმდეგ ან იტყვის, ან დას-  
წერს რასმე. მს კიდევ უორაა: თუ ვაბედე და იმისი  
მოქმედება კრიტიკულის თვალით ვაარჩივ, შენი  
სიტუაციი ისეთ სახით ჩაიბეჭდება იმის ვაზეთში, რომ  
წაკითხვის დროს პირჯერი იწერო და უნებურად  
იძახო: „ღმერთო მიხსენ ამისთვის „მიუფერებლობი-  
საგანო!“ როგორ მოვა ამისთვის იარაღის ხელში  
შეეჩერეთან ვარებე პირი, თუნდა ცამდე მართალი  
იყოს და ნამდეილ საბუთებზედ აშენებდეს თავის  
მსჯელობას; ეისა აქეს შეძლება და მოცალეობა  
ბროშიურებით და წიგნებით ებაასოს და ეკამათოს  
ყოველდღიურ ვაზეთს?

მს თუმცა ასეა, მაგრამ, ემდორებო, ჩეენ წინ-  
დაწინეე ვეისრულობთ დამარცხებას იმ იმედით,  
რომ იქნება ოდესმე პირუთენელმა ისტორიაშ ჩეე-  
ნის საზოგადო მოღვაწეობისამ თავისი უტყუარი  
მსჯაერი დასდოს და ყველას თავის ლირსებისამებრ  
მიუწყოს.

\* \*



ვიღუ თ. მაცხადის მოღვაწეობის განხილვას  
შეცუდგებოდეთ, საჭიროა, მოკლედ თეალი გადა-  
ფარლოთ ამ ოცნე, ოცდახუთის წლის განმავლობა-  
ში რა შექმნა ჩენება საზოგადოებაშ საზოგადო;  
გამოაცხადა, თუ არა სურვილი წინ-მსელელობისა  
და წარმატებისა და ან ეს სურვილი რითი განა-  
ხორციელა? რომელს წოდებას შეუძლიან ჩენები  
საზოგადოებას სათავეში ჩაუდგეს და მის წინ-სელის  
ხელი შეუწყოს? ამის პასუხს დიდი თავის-მტკრეფა  
არ მოუწდება: გლეხეცაცობას მეტად ბევრი პირიადა  
საზრუნავი აქვს, რომ საზოგადოზედ იფიქროს, გა-  
ცრობის წოდება ჯერჯერობით არ არსებობს და  
ისტორიის მსელელობაშ ჩენს თავად-აზნაურობას  
მიუჩინა მეთაურობა. ავად, თუ კარგად, ეს წოდება  
წინამძღვრობდა ჩენს ერს იმისა და ლაშქრობის  
დროს და მშეიღობიანობაშია იმდენი შეძლება  
და მოკალეობა ჰქონდა, რომ ეს საპატიო უდევლი  
კისრიდამ არ ვაღევდო და პირნათლად ეზიდნა. ბა-  
ტონ-ყმობის გადაფარილის დროსაც კი, ე. ი. შაშინ,  
როცა თავად-აზნაურობას ბნელი და გამოუჩვეველი  
მომავალი ელოდა და არ იყოდა, დღვეანდელი  
დღე რა ხვალეს უქადიდა,—მაშინაც კი მის გუნდში  
გამოიჩინა თითო-ორიოდა პირნი და იყისრეს არა-  
მცუ მარტო მისი წინამძღვრობა, ისიც კი რომ

თავად-აზნაურობის შემწეობით ხელი შეეწყოთ მოქლის ხალხის კეთილდღეობისათვის.

შეთავერესი ამ პირთავანი იყო ღიმიტრი პიფიანი. ამან ჩაგონა მოქლის ჩეკის თავად-აზნაურობის საზოგადო საადგილ-მამულო ბანკის დაარსება იმ ფულის ნაწილით, რომელიც განთავისუფლებულ კეთილდღეობის სამაგისტროდ ერგო, რათა ბანკის მოვება მოხმარებოდა მიწის მფლობელთა — თავად-აზნაურობის მიწის მუშაობა — კლებთა საყოველთაო საჭიროებას, და ამ აზრის შესრულებისათვის ამ სამაგალითო და ენერგიით საცხე კაცმა არაფერი დაზოდა: თავის ფეხით მოიარა მოქლი ქართლ-კახეთი და ყველგან აუხსნა თავად-აზნაურობის, თუ რა სიკეთე მოელოდა მას ამ საზოგადო საქმის დაწყებით. მხოლოდ იმის ღვაწლა და შრომას უნდა დაბრალდეს, რომ ძლიერი იქმნა ჩეკი ჩეკულებრივი აპარატი და სხვის ხელ-შემაყურებლობა. მან მოსკოვი კბილი თავის მჰევრეტყველურის და დაბეჯითებულის ლაპარაკით ქართველურის „არა-გამოე-რა“ ს, რომლითაც დამკონარებული სხეული თავიდამ იშორებს საზოგადო საქმისაღმი წახალისებას და თითქმის არარიალდან შექმნა ისეთი რამ დაწესებულება, რომელსაც ნაცოფად უნდა მოჰყოლოდა ჩეკი ეკონომიკური წარმატება და განათლებაში ფეხის ჩაღვმა; და მართლაც უბანკოდ ექ იმოგინებდა ექტუ სათავადაზნაურო სკოლა, ექტუ სკოლა წინაშემდეგარიანთ-კარისა და



უკრუ სხვა ამგეარი, ქვეყნის სასარგებლოდ შექმნიათ  
ხული საქმე.

ზანს ვენებული ყოფიანი ამისთვის ზრუნავდა და  
ამ აზრით თითქმის მთელ ქართლ-კახეთის თავად-  
აზნაურობას, მეტადაც წყრილ თავად-აზნაურობას,  
ბანკში მონაწილეობა მიაღებინა: მოაწერინა ხელი,  
შეატაინა ფული, დააარსებინა თანხა. სხვა უძინს  
იქმარებდა ამას, გადმოსწერდა რუსეთის ერთ-ერთ  
ბანკის წესდებას, დაამტკიცებინებდა და ჩაიბარებდა  
გამგეობაში თავმჯდომარეობას. დიმიტრი პიფიანს  
ეს არა ჰქონია თავის ცხოვრების სავნად: იმან იყო-  
და, რომ ოუმცა ბანკი სასარგებლო დაწესებულე-  
ბა, მაგრამ იგივე ბანკი ბევრს თავად-აზნაურის  
მამულს ხელიდამ გამოაცილის, თუ ჩეეულებრივი  
წესდება არ შეიცეალა, და აი იგი ცდილობს ისე  
შესცეალოს ეს წესდება, რომ ჩეენის თავად-აზნაურო-  
ბის ზნესა და გარემოებას შეუფეროს. ეინ ამბობს,  
ამ ძიებამ იქნება ზოგიერთა იმისთანა აზრი ჩაავინა,  
რაიც აუსრულებელია და შეუძლებელი, მაგრამ განა  
საყვედურის ღირსია და არა, პირიქით, ქებისა და  
მაღლობისა ის პირი, რომელიც ცდილობდა არა თუ  
მარტო დაწესებას სასარგებლო საქმისას, იმასაც  
კი რომ ეს საქმე ჩეენის ყოფა-ცხოვრებისთვის  
შეეთანხმებინა და შეემცირებინა შეძლებისამებრ  
მისი მავნებელი თვისება.



და აი მას აქეთ, რაც ბანკის დარჩების განვითარების  
მოუფელდა, ამ აზრის შესრულებამდე და შესრულების  
შემდეგაც პიფიანი გულის-ტყივილით აკეირდებოდა  
საქმეს, ებრძოდა სხვა და სხვა საძნელოსა და მავნე  
მხარეს ბანკის მოქმედებისას და ზოგიერთ შეუძლე-  
ბელ და აუსრულებელ ცულილებათა შორის, იმი-  
სთანა ცულილებასაც უჩინევდა, რაც ადეილად ასასრუ-  
ლებელია და მიღებულიც არის მასუკან დაარჩებულ  
სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის წესდებაში.

მს უკმაყოფილება აწინდლურად საქმის წარმოე-  
ბისა პიფიანმა ბეჭდეითაც გამოაცხადა 1886 წ.  
გაზეთს „იურიაში“ მაგრამ ამ გაზეთის რედაქტორმა  
და ამასთანავე პიფიანისაგან დაარჩებულის ბანკის  
გამგებელმა თ. პავჭავაძემ ეერაფერი მასპინძლობა  
გაუწია თავის მოკამათეს. ზეაგონდება მაშინდელი  
პოლემიკა ამ ორ პირთა შორის, გვაგონდება ის  
ლიტერატურაში უარ-ყოფილი ფანდები, რომელთაც  
მიმართა თ. პავჭავაძემ მოწინააღმდეგის დასამარცხებ-  
ლად და ეგრძნობთ, რა უარესს ფანდებს უნდა მო-  
ველოდეთ, თუ თ. პავჭავაძე თავის გაზეთში ჩვენს  
წინააღმდეგ აღიჭურვა.

\* \* \*

რაში დაეტყო თ. პავჭავაძის გაელენა ან ბანკი,  
ან მასთან მჰიდროდ, თუ დუნელ დაკავშირებულს



დაწესებულებას და მართლა კი ისე მხნეათომაშე  
კავაძე, როგორც აქროსტიხის აუცორი გვარწმუ-  
ნებს? მხნეათ, განა ეს საკითხაეთა! გაიკანით ყოველი-  
ვე ჩვენი საზოგადო საქმე და თითქმის ყველგან  
თ. ჰავევაძეს შეხედებით ან როგორც თაემჯდომარე-  
ბეს, ან როგორც თაემჯდომარის ამხანავს. «წერა-  
კითხეის გამავრცელებელი საზოგადოება» და ის  
არის თაემჯდომარე: თბილისის სათავად-აზნაური  
სკოლის საზოგადოება და ის არის თაემჯდო-  
მარის ამხანავი; „ღრამატიულ საზოგადოებაში“  
ის იყო დიდხანს თაემჯდომარედ; ბანკის გამგე-  
ობის თაემჯდომარე ის არის, გაზეთის რედაქტორი  
ის არის და ასე გასინჯეთ ამას წინად რაღაცა  
საზოგადოება არსდებოდა მწეანილეულობის ყიდ-  
ვისა და იქაც კი იკითხა თაემჯდომარეობა....  
ამაზედ მეტი სიმხნე-ლა გინდათ, ამაზედ მეტი მუყაი-  
თობა და საჭის სიყეარული! მართლა რომ სამა-  
გალითო მოღვაწეობა: მაგრამ ახლა ისიც იკითხეთ,  
რას აკეთებს ეს საყოველოათ თაემჯდომარე ან  
ერთგან, ან მეორედგან, ან მესამედგან. ზამოსარკვევად  
აკილოთ თუნდა, რამდენი კრება პქონია თეითეულ  
„საზოგადოების“ გამგეობას ამ უკანასკნელ სამის  
წლის განმავლობაში და რამდენჯერ დაწერებია ამ  
კრებებზე თ. ჰავევაძე.

«წერა-კითხეის გამავრცელებელ საზოგადოე-  
ბას 1889 წელიწადში პქონია 35 კრება, თ. ჰავევა-



ვაძე დასწრებია 4-ჯერ; 1890 წ. პეტონია 26 კუნის 26 კუნის  
თ. მაცხადე დასწრებია 1-ჯერ; 1891 წ. პეტონია  
36 კუნება თ. მაცხადე დასწრებია 3-ჯერ.

შეორენ, სათავად-აზნაურიო სკოლის საზოგადოების  
ბის გამგეობას, 1889 წ. მაისიდამ (როცა თ.  
ჭავჭავაძე ამონჩეულ იქნა თავმჯდომარის ამსახური)  
წლის დასასრულადე პეტრი 9 კრება, თ. ჭავჭავაძე  
დასწრების 3-ჯერ; 1890 წ. პეტრი 20 კრება, თ.  
ჭავჭავაძე დასწრების 1-ჯერ; 1891 წ. პეტრი 9 კრე  
ბა, თ. ჭავჭავაძე არც ერთხელ არ დასწრების. დრა-  
მატიულ საზოგადოებას თ. ჭავჭავაძე თავმჯდო-  
მარეობდა ისახა თუ სამს წელიწადს ამ ხუთით  
წლის წინად და იქნება კრებებზედაც ესწრებოდა,  
არ გვახსოვს, მაგრამ ვა ამ დასწრებასაც! ეს  
„საზოგადოება“, რომელსაც დამტკიცებული წეს-  
დება აქვს და მრავალი ძეირფასი უფლება, კინაღა  
დაიხურა თ. ჭავჭავაძის ხელში და მისრწნილი, ლო-  
ნე-გამოლეული, სხვებს რომ არ ეპატრიონათ და ჰა-  
ტარა სული არ ჩაედგათ, აქმდე სამარეს იქნებოდა  
მიბარებული, რადგან საზოგადო კრებაც კი არა  
სდგებოდა თ. ჭავჭავაძის ხელში და საზოგადოებამ  
არაეითარი ანგარიშისა არა იყოდა-რა.

იტყეიან, ეს უმნიშვნელო ბრალი არის და კრებებზედ დაუსწრებლობა კიდევ არ ამტკიცებს გულხელ-დაკრეფას და გულ-გრილობასათ. იქნება, თ. ჭავჭავაძე სათავადაშნაური სკოლაში ისე დაიღოდა,



გაკეთილებს, ან ეგზამენებს ესწრებოდა, ან „წერა-  
კითხების საზოგადოების“ კანცელარიაში მუშაობდა,  
ან პიესებს ათვალიერებდა, სწერდა; ერთის სიტყვით,  
იქნება ორჯერ-სამჯერ ესწრებოდა კრებას, მაგრამ  
დასწრების დროს ერთი ათად მეტს აკეთებდა სხვებ-  
ზედ, რომელიც ყოველთევის დაირებოდენ. თ.  
ჭავჭავაძის მომხრეთ მოადონდებათ მისგანვე წარმო-  
თქმული სიტყვა, რომ ერთ კაცს შეუძლიან ერთის  
თითოთ იმდენი ასწიოს, რასაც სხვანი ორის ხელით  
ვერ ასწევენო და შეიძლება სოქვან, იქნება ერთის  
სიტყვით, ერთის ჩაიერთ, რომელიმე ახალის აზრის  
ჩავთნებით თ. ჭავჭავაძეს მეტი გაუკეთებია, ვიღრე  
სხვებს მთელ თევობით მუშაობითაო; მაგრამ ამის  
მთქმელთ შეგვიძლიან თამამად ვუპასუხოთ, რომ  
გარეშე უსაქმობასთან და კრებებზედ დაუსწრებ-  
ლობასთან შეერთებულია სრული შინაგანი უსაქ-  
მურობაც, სრული უაზრობა, სრული უშინაარისობა.  
თ. ჭავჭავაძე არც ერთხელ არ დასწრებია არც გა-  
კეთილებს, არც ეგზამენებს სათავადაზნაურო სკო-  
ლაში; ახლოც არ გაუკლია „წერა-კითხების საზოგა-  
დოების“ კანცელარიასთან, თუ არ ბან ში მიმავალს  
და ვერც ერთ საქმეში ვერ შეხვდებით რაიმე სასაჩ-  
ვებლო წინადადებას, საზოგადოებისათვის რაიმე სა-  
საჩვებლო აზრს მისგან აღმოჩეს და შესრულე-  
ბულს.

მაში რა თილისმით, რა ძალითა და მანქანე-



ბითა ხდება, რომ არაეითარი საზოგადო საქმე უწვევ  
ჭავაძეოდ არ დაიწყება? იმავე თილისმითა, და ძალით,  
რა ძალითაც თაყვანისუმასა და პატივს არ აკლებს  
დიდხანობამდე ბრძოლისა ერთხელ რამე გარეშე  
მიზეზის გამო ღმურთად მიჩნეულ კერძს.

თ. ჭავჭავაძეს რომ ჰყითხოთ, ამაყად მოგვებთ:  
რა ჩემი ბრალია, რომ ხალხი აფრი პატივსა მცემს  
და კველვან პირეელობას მაკუთხნებსო; ალბად  
ლეაწლი და სამსახური მიმიღეის, ალბად ჩემში რა-  
იმე ლირსებას ჰქედეენ და ამიტომ ასე მოწიწებით  
და ქება-დიდებით მეპყრობიანო. პირეელის შეხვედით  
იქნება ასე ერვენოს ადამიანს, იქნება მართლა ბრალი  
ამ შემთხვევაში საზოგადოებას აკუთხნოს, მაგრამ  
ნუ დაიკიწყებთ, რომ ყოველი საზოგადო მოღვაწის  
ვალია, არ იყისროს იმისთვის საქმე, რომელსაც სარ-  
გებლობას ექიმურს მოუტანს. მს ნათელი ჰქომა-  
რიტება სრულიად მიერწყებულია და განზედ მიგდე-  
ბული თ. ჭავჭავაძისაგან; მაგრამ ამ საგანს თავისი  
სარჩულია აქეს, რომელიც სრულიად სხვა ფერს  
აძლევს თ. ჭავჭავაძის პასუხს. მინ ამბობს, საზოგა-  
დოება ხშირიდ ძალად თავზედ ახეევს იმისთვის საქ-  
მეს, რომლის მოვლასაც ის ერ იყისრებს და არც  
შეუძლიან, მაგრამ ამ ძალად თავზედ მოხვევაშ ისე  
დააჩინა იგი ყოველვან პირეელობას, რომ რა სა-  
სარგებლო საქმესაც კი დაიწყებთ, იმის ნება-როვა  
და ლოცვა-კუროხევა უნდა მოიღოთ, თორებ....



თორებ ვაი თქვენი ბრალი და თქვენგან პდაწყებულ  
საქმისაც: თქვენს წადილს, რაც უნდა კეთილშობი-  
ლური იყოს და საქვეყნი, გულის-ტყიერილით ჩადა-  
ნებული, აუსრულებულს უწოდებს და ციეს წყალს  
გადაასხავს ისედაც ძნელად წასახალისებელს ჩეენს  
საზოგადოებას. ამის მაგალითებს რამდენსამე დაე-  
სახელებდით, სიტყვის გაფრიდელებისა რომ არ გვეში-  
ნოდეს და თუ დრო და გარემოება მოიტანს, კიდევაც  
არ დაკარგებთ დაუსახელებელს.

აი ეს მიგეაჩნია დიდ ცოდეად და მიუტევებელ  
ცოდეადაც ყოველის საზოგადო მოღეაწისათვის.  
ქეშმარიტი გულ-შემატყიფარი საზოგადოებისა ერთ  
ვეარად მოებურობოდა, სასარგებლო საქმეს, თუნდა  
იმისგან იყოს დაწყებული, თუნდა სხეისგან და არ  
გამოუდგებოდა წერილმანს და საქმის დამაბრკოლე-  
ბელს შენ-ჩემობას, რომელიც არც ერთ საზოგადო  
მოღეაწისათვის საკადრისი არ არის.

\* \* \*

როგორ შეიძლება მართლა ასე წერილმანების  
გამოყიდებაო—იქნება ესეცა სოქვან. მ. ჭავჭავაძეს  
ორი ისეთი საქმე უკირავს ხელში, რომელთაც უნ-  
დებათ სრული იმისი შენეობა და გამჭრიახობა და  
სხვა საქმეებისათვის როგორ-ლა მოიცალოსო. დაკა-  
თანხმებით ამის მთქმელთ, რომ გაზეთი და ბანკი

მართლაც ისეთი სამშიმო საქმეებია, რომ სათხოოსაფინანსო  
დაც კარგი გაძლიერა უნდათ, არამეტყველი რჩივეს  
ერთად. მაგრამ ახლა იმასაც ჩაეუკეთდეთ, რა წილი  
უდევს თ. ქავჭავაძეს ამ ორივ საქმეში და იმისი მო-  
თავეობა მართლა სასიკეთოა, თუ საზარალო.  
მეტანობთ, რა პასუხის-გებაშაც ეცვლედებით ამ სიტ-  
ყის წარმოთმით: როგორ თუ საზარალოი! ქავჭა-  
ვაძე და საზარალო? მაში ჩეენ სულ პრიმანი ცეკვილი-  
კართ და მარტო თქვენა გქონიათ თვალები ახილე-  
ლით, იტყვიან გაწიწმატებული თ. ქავჭავაძის თა-  
ყენის-მცემელნი: მაგრამ ყელებით ჩეენი სიტყვები  
ისე დაესაბუთოთ, რომ მოწინააღმდეგეთ არ შეეძ-  
ლოთ ცილის-წამება დაგვაპრალონ.

ზაფხულით ჯერ როგორი იშვა დღევანდელი  
კუკელ-დღიური გაწეთი „მექრია“. ბექრს ეცოდი-  
ნება, რომ „მექრია“ პირეულში კეირის გაწეთი იყო,  
მერე ქუჩნალად გამოდიოდა და მრავალ-გერად  
ფერი იცვალა, კიდევ კუკელ-დღიურ გაწეთად გადა-  
კეთდებოდა; მაგრამ ამ ფერის ცვალებადობამ არა  
უშესელა-რა და 1885 წელს ის ჰვავდა მისოსტე-  
ბულს მოხუცს, რომელსაც სული ძლიერს-და შეტჩინია  
და რომლის სიკედილ-სიცოცხლე არაეისოფის საყუ-  
რადღებო აღარ არის. ამ ქუჩნალს მაშინ ასი, ას  
უკი ხელის-მომწერი თუ ეცოლებოდა და ისიც იმის-  
თანები, რომელთაც გაუჭრელი წიგნები ხელუხლებ-  
ლები ეწყოთ. მაგრამ გასკრა „მექრიას“ რედაქტორის



იღბალმა, ბედის ვარსკვლავმა ვამოუნათა და მიმიწელს დაიხურა „დროება“, ერთად ერთი ქართული გაზე-  
თი. მთელი ქართველი საზოგადოება უგაზეთოდ  
დარჩა და სამ თევე ნახევარი ამ მდგომარეობაში იყო.  
მისაც ესმის,—რა საჭიროებას შეაღებს შეჩვეული-  
სათეის ყოველ დღე ვაზეთის გადათვარიელება, ის  
ადეივლად მიხედება, თუ რა წყურეილით დაწაფე-  
ბოდა ქართველი საზოგადოება ახალ გაზეთს. და აი  
ბებერმა „მეტიამ“ ერთხელ კიდევ ფერი იცვალა,  
ბაეშვის სახეეებში ვაჟებია, არტახები შემოიჭირა და  
პირველ იახეარს 1886 წლისას წარდგა საზოგა-  
დოების წინაშე ახალის მუნდირით—როგორც პირ-  
ველი ნომერი ყოველ დღიურის გაზეთისა.

ჩეენ კაჩვად ვეახსოვეს, ჩეეულებრივს წყურეილს  
გახდა, რა რიგად უწყობდა ხელს ამ ჯერ არ დაბა-  
დებულის გაზეთის წარმატებას ერთი-ერთმანეთის წა-  
ქებება და წახალისება. მარტო გორის მაზრიდამ,  
საიდამაც სხვა ქართულ ვამოცემათ 40-50 ზევით  
ხელის-მომწერი არას დროს არა ჰყოლიათ, დაარსე-  
ბამდე „მეტიამ“ 80 ხელის-მომწერი ვაუჩენდა და  
რაც მასუკან უნდა მომატებიყო, ის კიდევ სხვაა.

რა წაიყიოთხა მერე ამ მრავალმა საკითხავად  
მომზადებულმა გაზეთის პირველ ნომერში? აღსაჩება  
რედაქციისა, რომელშიაც რედაქტორი ჰკიცხავდა იმ  
პირთა „ავეიობასა და წიწლაკიანობას“, რომელნიც  
ბეჭედის საშუალებით მაენე მოკლენათა და პირთა გა-



საკილტად აღიჭურებიან და ჰპირდებოდა „კაცებულის  
(ეს ახალი სიტყვა ახალი გაზურთა შემთხვევა) ღირსე-  
ბის გრძნობის პარივის ცემას“.

ჩეენ ამოუწერთ ერთს ალავს ამ მოწინავე  
წერილისას, რომელიც შეადგენს „აღსაჩების“ უმ-  
თავრესს ამონაწერის:

„ის დეთაებრივი გრძნობა, რომელსაც კაცებუ-  
, რის ღირსების გრძნობას ეძახიან და რომელიც  
, უქირფასესი და უდიდესი საუნჯეა ადამიანთათვის  
, მიმადლებული, უნდა პატივუმულ იყოს ყველგან  
, და ყოველს ადამიანში, გლოხა, თუ მდიდარი, ავა-  
, ზაფია, თუ ზნეობა-მაღალი. სხვ მოიქცევა იგი, ესაც  
, თავისის საკუთარის კაცებობის (ესე ახალი სიტყვაა)  
, ღირსების გრძნობა მჩერად არ გადუქცევია. პდ-  
, რეც გეითქეამს და ეხლაც ეიტყეთ: კაცობრი-  
, ობის ღილებულთა ნაღვაწოთა თორებელები რომ გა-  
, კუსინჯოთ (ეს კიდევ ახალი პოეტური შედარებაა),  
, მთელს კაცობრიობის ახოების პროგრესს თავიდამ  
, ბოლომდე გონების ნესტარი გაუტაროთ, ნახაეთ,  
, რომ ყოველივე ეს მართლა და ღილებული ნაომა-  
, რი კაცობრიობის სულისა, გონებისა და მხნეობისა  
, სხვა არა არის რა, თუ არ ძლევა-მოსილი სელა კაცე-  
, ბურ ღირსებათა გრძნობის აღსამატებლად მიმარ-  
, თული. რამოდენადაც ეს გრძნობა აღმატებულია,  
, იმოდენად ძლიერია, როგორც ცალკე კაცი, ისე  
, მთელი ერიც. ჩეენის ფიქრით, ყოველ გეარს უბე.



„დურებას, უძლიურებას აღამიანისას სათავეებიან  
„გრძნობის ძირს დაცემა აქვს. საცა ეგ გრძნობა  
„ცოტად თუ ბევრად ფეხ-ადგმულია, იქ კაცი არამა-  
„თუ ვისმეს ან ჩასმეს ვაექელვინება თეითონ, არა-  
„მედ სხეის გაქელვის დანახვაზედაც მთელის თვი-  
„სის სამართლიანის ვულის-წყრომით ვამქელველს  
„კულ-და-კულ შეეფეობა, როგორც დამრღვეველს  
„იმ ზნეობითის კანონისას, ჩომელიც საყოველ-  
„თაო ღირსების ფარია და მაშასადამე მისიცა. რო-  
„გორც სხივი მზისაგან, ყველა ნიჭი და მაღლი-  
„აღამიანისა, სულიერი, თუ ხორციელი, ამ გრძნო-  
„ბიდამ წარმომდინარებს და ყოველიც ისევ უკან  
„მიერთმევა, ეთ თაეის დასაბამს.

„მს არის ჯერ ხანად ჩეენი აღსარება, ჩეენი გუ-  
„ლის-ნადები. პმ გზას დავადგებით და არას შემთხ-  
„ვევაში არ ეულალატებთ. სხეა დროსა და გარემო-  
„ებას დავაცადოთ.“

\* \* \*

მს ნაძალადევი მჰევრ-მეტყველება, ეს საიდამ-  
ლაც გამოვთონილის ეითომ-და ლრმა სიტყვების ახუ-  
სულავება, ეს თირკმელებში ქექა, იქნება ფრაზებით  
გამობრუებულს ზოგიერთა მკითხველს მართლა ხელ-  
შეუხებელ ჭეშმარიტებად მოეწევნა და მეტნიერების  
უკანასკნელ სიტყვად, მაგრამ ზოგნი კი მიხვდენ, რა



ფასიუ უნდა ჰქონოდა ესრედ გამოცხადებულს „გულის-ნაღებს“, ან ეს შესვეალი რა გულ-გრილობას და გაზეთის მნიშვნელობის უკოდინარობას გადაჭ-ფარებოდა ფარდად.

მართლადაც რა არის ეს „კაცებურის ლირსებ-ბის გრძნობის პატივისუმა“ და ეის ეთქმის რომ მე ეს აზრი ყოველთვის თეალ-წინა მაქეს წამოყენებული და მითი გხელ-მძღვანელობო. სხვისა არ ეიცით და ჩვენ კი გვეონია, რომ ეისაც მართლა თავის კაცურის ლირსების პატივის-უმა უნდა და სხვებისაც, უნდა პირნათლად ასრულებდეს, იმ მოვალეობას, რა-საც კისრულობს და რასაც სხვანი იმის სიტყვების ძალით მოველიან.

მერე, ნერა ფიციდეთ, რომელი „კაცებურის ლირსების გრძნობა“ ჰქონდა სახეში „ივერიის“ ჩე-დაქტორის, როცა ის თავის გაზეთში მთელის თევრ-ბით ბეჭდავდა დაუსრულებელს წერილებს ლეინის დაყენებაზედ, — წერილებს, რომელთა წაკითხეის დროს ამ საქმის მცირებით სახეზედ მორჩევობის სი-წითლე მოსდიოდათ! ან იქნება „კაცებურის ლირსებ-ბის გრძნობის პატივისუმა“ პერნია დღე-მუდამ პო-ლიტიკაზედ წერა და ბისმარკ-სალისმიურების გაწკე-პა „ივერიის“ ფურცლებზედ, როდესაც სრულიად ყურ-მიყრუებულია, რაკი საქმე შინაურის ტკიცილს შექება! განა გაზეთის ჩედაქტორის არ მოეთხოვე-ბა, — გამორკვეული პიოვრამა ჰქონდეს და ამ პროგ-



რამდენ მისცემულია? ახლა იყოთხეთ, რა პროგრამით წელ-  
შძლევან ელობს ხოლმე „იურიის“ ჩედაქტორი, რო-  
დესაც თავის გაზეთში ბეჭდავს და თავის მხრით უხეს  
თანაგრძნობას არ აკლებს სხვა და სხვა სოფლებიდამ  
მოსულ ამბებს, რომ ჩეენში ერთყოლასინი სკოლა  
იყო და ეხლა დეთისა და თქვენის წყალობით ნორმა-  
ლურ სკოლად გეინდა გადაეკეთოთ. ზანა არ  
იყოს ამ ორგებრ სკოლებს რა და რა პროგრამა აქვთ  
და რომელი მათგანი უფრო ღირსია თანაგრძნობი-  
სა? განა გაზეთის ჩედაქტორ არ უნდა ცდილობ-  
დეს თავის მყითხელებს მისთვის საყურადღებო ამ-  
ბები, რაც შეიძლება მალე, მიაწედინოს და მათ შე-  
სახებ თავისი აზრი წარმოსთქმას? ახლა, დახედეთ,  
თუ როგორ ასრულებს „იურიია“ ამ თავისს პირდა-  
პირს დანიშნულებას და აიღეთ მარტო ერთი თვალ-  
საჩინო მაგალითი.

როდესაც 1890 წელს თბილისის ხმოსნების  
ამონჩევები მოხდა, 22 ქართველი ამოარჩიებს ხმოს-  
ნად და ეს ამავე მეტის-მეტად სასიამოენოდ დარჩა  
უცელა ქართველობის გულ-შემატყიფარს, რადგან თო-  
ხის წლის განმაელობაში მაინც ქართველებსაც შეძ-  
ლება მიეცათ ერთყულება დაემტკიცებინათ თავიანთ  
დედა-ქალაქის საქმეებისადმი და თუ ლონე შესწევ-  
დათ, მუქაითობაც გამოეწინათ. მაგრამ ზოგიერთა  
პირთ საჩივარი შეიტანეს საქალაქო საქმეთა გამგე  
საგუბერნიო კრებულში არჩევნების დარღვევის შე-



სახებ და რომ დაჩოცეულიყო, სწორიად გაუქმდებოდა და მოიშლებოდა ძნელად და ფონილად დაწყებული საქმე.

იმთქმის მთელი ქართველობა გაფაციუტით ადეკვებდა თვალ-ურის ამ არა-ჩეკიულებრივს მოვლენას ქართველების ცხოვრებაში და გულის-ძეებით ელოდა იმ დღეს, როდესაც საგუბერნიო კრებულს უნდა თავისი გადაწყერაილება დაედგინა. დადგა ეს დღეს, დეკემბრის 20; გადაწყდა რომ ხმოსნების ამონჩევა არ გაუქმდესთ და ეს ქართველობისათვის საამო ამბავი მეორე დღესვე სასწრაფოდ აცნობდა რუსულმა გაზეთებმა თავის მკითხველებს. ქართველმა მკითხველებმაც მიმართეს, რასაკეირველია, „მსრბოლის“ რედაქტორის გაზეთს — „ივერიას“ და რა ამოიყოთხეს? დეკემბრის 21 ნომერზე, პირველ ადგილს, გაზეთის ტექსტში ეს ამბავია ჩაბეჭდილი: „ამ თეთს „19, რიცხვები, დამით უცხრად გაჩიდაიცალა ბნელით „ტუილისის მცხოვრები იუანე მგნატეს ძე ბლეტკინი“. (კურთ განცხადება არ გევონოთ).

მინ იყო ეს ბლეტკინი, ვისთვის რა საჭირო იყო ან იმისი სიცოცხლე, ან იმის სიკედილის აშშის შეტყუამა, ეს დღესაც „ივერიას“ რედაქტორის საიდუმლოს შეაღევნს, მაგრამ საჭირო ის არის, რომ მკითხველებმა არამც-თუ სათავეში, მთელს ნომერზი მიკროსკოპითაც ეტრ იპოვნეს, თუ რა ჰქონა საგუბერნიო კრებულმა ხმოსნების ამონჩევის შესახებ.



მხოლოდ მეორე დღეს „იურიამ“ გადმობეჭდით ამბავი „ნოვო იბოზრენიდამ“ და მიჩქმალა სადლაც სხვა ამბავთა შორის, რომელნიც ჩვეულებრივ წერილის შრიფტით იძექდებიან. („იურია“ 1890 წ. № 273).

რომ „იურია“: ამ მხრივ ვერ ასრულებს (და რომ მელ მხრივ კი ასრულებს?) თავის დანიშნულებას, ერთს კიდევ დაესახელებთ: იმავე 273 №-ზი „ნოვო იბოზრენიდამ“ გადმობეჭდილია ამბავი. რომ ფინანსთა მინისტრი იმპილისის სათავალ-აზნაური ბანკს შემას აძლევს ბათუმის მამულებზედ სესხის გაცემისასთ. მს როგორიცა მოვწონთ? „იურიის“ რედაქტორი, რომელიც ბანკის გამგებელიც არის, მისდა მინდობილის ბანკის შესახებ ამბებს სხვა გაზეთიდამ იღებს და ამბობს „ნოვო იბოზრენიე“ ს გაუგონიათ. მერე, კიდევ „ნოვო იბოზრენიე“ გაივონებდა, თქენებ უნდა გავეგონათ, თქვენგან წარმართულს გაზეთში ჩავეწერათ და მით მყითხეველების კანონიერი ცნობის-მოყვარეობა დაგექმაყოლებინათ.

\* \* \*

ზარმოდგენილი გვაქვს რა ჩიგი სიხარულის ლიმილი მუსეათ სახეზედ „იურიის“ მომხრეთ, თუ კი ჰყავს საღე, და იტყვიან: აი წერილმანებს გამოუდილებინათ.



გნერ და თითო-თხოოლა მაგალითით უნდათ შთავლი  
გაზეთი გავჟიცქონო. მაგრამ წერილმანებსაც რომ  
თავი დავანებოთ და მსხველმანებს მიემართოთ,  
რასა ვნახავთ, თუ არ სრულს უარყოფას ყოველ  
იმისას, რაც გაზეთის სულსა და შინაარსს უნდა შე-  
აღვენდეს? განა გაზეთი იმას არ უნდა ცდოლობდეს,  
რომ ყოველსაეუ სასიამოვნო და სასაჩვებლო ამ-  
ბავს თანაუგრძნოს და სრულის თავის გულის-წყრო-  
მით აღიჭურეოს მავნე მოვლენათა წინააღმდეგ? მერე  
როდის წაუკითხავთ „იურიის“ მკითხველებს იმისთა-  
ნა რამ ამ გაზეთში, რაც აღძრავს მათში „კაცებურ  
ლირსების გრძობას“, გულს სიამუენებით აუტოკავს,  
ამ რისხეა-წყრომით აღავსებს? იქნება მოვლი ექვსის  
წლის განმაელობაში ერთი და ორი მაგალითი და-  
სხელონ, მაგრამ ეს შემთხვევით ნაპოვნი თანისები განა  
ამ ბიაბან და უნაყოფო უდაბნოს ხასიათს შეუცვლის?  
და რომ სრული უნაყოფობა ეტყობათ. კავჭავაძის მოლ-  
ვაწეობას გაზეთში, ამის საბუკალ იქმარეთ რომელიც  
გნებავთ ნომერი „იურიისა“, გადაათვალიერეთ და  
თუ თქვენ, მოვლის ნომერის რომ წაიკითხავთ, იმასვე  
არ იგრძნობთ, რასაც გრძობს მშიერი კაცი ძნე-  
ლად დასალეჭი ლუკმის უსაჩვებლო კონსის შეგ-  
დეგ, შევიძლიანთ თამამად და აშეარად გაგვამტკუ-  
ნოთ.

შოელთვის კი ასეა? მართლა „იურიია“ მუ-  
დომ ყურ-მოყრუებულია, როდესაც საჭმე ჩეუნს ცხო-



ერებას, შინაურის გასაჭიროსა და გარამს შექმნა? ამ ერთს მაგალითს მოყიფანთ, რომელიც ამ საკითხა-ების პასუხადაც გამოდგება და ნათელისაც მოჰყენის აქტოსტუბის აუტორისავან ნაკებს მიუფერებლობას თ. კავკავაძისას. მს მაგალითი იმასაც ცხადად დავყანახებს, რის იარაღად ხმარობს თ. შავჭავაძე „თავის“ გაზეთს და რამდენად პატივა სცემს თავის მოპირდაპირეთა „კაცებურის ლირსების გრძნობას“.

მოგეხსენებათ, რომ ყოველ წელს სდგება სა-თავად-აზნაური ბანკის კრება თბილისში, რომელიც ამ უკანასკნელ ათ წელიწადს მეტის-მეტად საყუ-რადღებო შეიქმნა და თითქმის მთელის თბილისის სალაპარაკო საგნად გადაიკუცა ხოლმე. ზაზეთებიც, გარდა ერთისა, ამ კრებების ამბებს საკმაო ადგილს უმობენ. ეს ერთი გაზეთი, რომელიც რაღაცა მი-ზენით ძუნწობს და ამ ამბებს სრულიად მცირე ადგილს აღინისებს, არის «ივერია». როდესაც, მაგა-ლითად, 1890 წ. კრებებს მეტად ცხარე ხასიათი დაეტყოთ, რეა დღე გაფრიდელდა და ოთხასწედ მე-ტის ხმის მქონე ესწრებოდა (ამოდენ: სალხი ჯერ ბანკის კრებას არ უნახეს), «ივერიამ» სწორედ სამაც სკეტი უძლენა მთელ ამ რეა დღის ნაღვაწ-ნა-ლაპარაკეს თავის ნომრებში. შემდეგს წელიწადში, 1891 წ., მოხდა ბანკის კრება, გაფრიდელდა მხო-ლოდ ხუთ დღეს და «ივერიამ» რაღაცა მანქანებით



აიხსნა ჩვეულებრივი დაუდევრობა, გადაშალა გულ-უხეად თავის ნომრები, მოუყრიცა კური სხვას კუ-ელიფერს, თავი დაანება ბისმარკსაც, სალისმიური-საც, ბლეტკინსაც და 58, დიალ, ორმოც და ოუზა-მეტი სვეტი მოანდობა კრებაში მომხდარ ბაასს.

რამ გაუცხოველა «იუერიის» რედაქტორს სურვილი, ერცული ანგარიშები ებეჭდა ბანკის კრი-ბებისა გაზეთში სწორედ ამ წელიწადს? მართალია, ამ წელს დიალ შესანიშნავი ამბავი უნდა მომხდარიყო; უნდა კენჭი ეყარნათ ბანკის გამგებელის თ. პაველავაძისთვის, რომელიც «იუერიის» რედაქტორს ცოტა ახლო ნათესავად მოხედება, მაგრამ იმ ნაკებ-მიუფერებლობას არ უნდა წაეჩირჩიულა ბ. რედაქტორისათვის, რომ თავისიანების გამოსაჩინება და ქება ჩემს კოდექსში არა სწერიათ?! იმავე მოუფერებლო-ბას არ უნდა ჩაეგონებინა, რომ რაკი შენსა და შენის მომხრეების სიტყვებს გალაშანებულს და ძალზედ შალაშინ-გაყრიულს ბეჭდავ, შენს მოპირდა-პირეთაც უნდა კანონიერი ადგილი დაუთმო და მათი სიტყვები განგეჩ დამახინჯებულნი არ ლაპტევი-ნორ? მაგრამ არა, ეტყობა «იუერიის» რედაქტორმა შორს გასტურის „მოუფერებლობაც“, კაცებურ ღირსებათა ვრძნობის პატივისცემაც და თავის გა-ზეთის ფურცლები, კიდევ დაუუმატებთ, ერთად-ერთის გაზეთისა ქართულს ენაზედ, მომხრედ და ჩალიან მიფერებულ, მოსიჩილ მომხრედაც გარდიქნა.



2

ჩეუნ გეინდოდა გაზეთისათვის თავი დაგვერებული  
ბინა და ბანქზედ დაგვერწყო ლაპარაკი, მაგრამ ეს  
ორი საგანი ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული და  
გაზეთის სსენებულ ნომრებში, თეთო თ. ილია ჭა-  
ვჭავაძისავე სიტყვებში, იმისთვის მარგალიტებია მო-  
ძღვული მისის გამჭრიახობისა და ბანკის საქმეების  
ცოდნისა, რომ მათი მოვიწყება შეუძლებელია, რო-  
ცა ბანქზედ დაეიწყებო ლაპარაკის. თუმცა თ. ჭავჭა-  
ვაძე ცდილა, თავისი სიტყვები მორთულ-მოკმაზული  
ჩაებეჭდა და ალბალ იმ განზრახეითვე შაბათს, მაისის 17,  
იმავე წელს, ყოველის უმიზეშოდ გაზეთი არ გამოსცა,  
რომ თავის სიტყვისათვის მეორე დღეს მოეღლი ნო-  
მერი მოენდომებინა, როდესაც მოწინააღმდეგით  
მხოლოდ ხუთად ხუთი სტრიქონი აღიჩისა,— მაგრამ  
მაინც ეს მორთვა მოკაზმეა იმდენად ვერ დაეხმარა,  
რომ ფერ-უმარილ ქვეშ სახის ოლჩო-ჩოლჩოები  
ვერ გავაჩიოთ, ანექტოდებსა და სხარულებს  
შეა ბანკის საქმეების სრული უკოდინარობა, სრუ-  
ლი გაუგებრობა.

როგორ თუ უკოდინარობა და გაუგებრობაო? მისა სწამებენ ამას? თ. ილია ჭავჭავაძეს, რომელიც 17 წელიწადით, რაც ბანკის გამვებელია და რომელმაც ამ ბანკის დამაარსებელს ლიმიტრი შიფრის



მათემატიკის ფორმულებით ყურები გამოსუჭედა, ლოგარითმებით „ჩახუმა“ და «მტკნარი უმეტრება» უკიდუნაში! (იუნი 1886 №№ 114, 115, 154).

მაგრამ რამდენსამე წამს რომ რისხეა-წყრობას თავი დავანებოთ და საქმის განხილვას გულ-დაცებით შეეუდგეთ, უნადად დავანახავთ, არის რამ სიმართლე ჩვენს სიტყვებში, თუ არა?

რისთვის დაარსა ბანკი ჩეენშა თავად-აზნაურობაშ? ჩმისთვის რომ საქიროების დროს კრედიტორები მოემართა და ნაღდის მოვებიდამ 35 პროცენტი მაინც მოხმარებოდა სხვა და სხვა აუარებელ საზოგადო საქიროებას მიწის-მფლობელთა და მიწის-მუშათა, ე. ი. როგორც თავად-აზნაურობა, ისე სხვა წოდებათა საქიროებას.

თავად-აზნაურობამ ამ საქმისათვის პირველ შევე გადასდო 80,000 მანათი და უმაღლესად ებობა 160,000 მან. ბანკის დასაარსებლადუე. ბანკი დაარსდა და იწყო ჩეეულებრივი მოქმედება. რა თქმა უნდა, ბანკის გამგებელთ სახეში ის უნდა ჰქონოდათ, რომ რაც შეიძლება მეტი სესხი გაეცათ და იმისთვის სესხი კი, რომელსაც დაგირავებული მამული ადეილად აუკიდოდა, ადეილად გასცემდა პასუხს და თუ პატრიონი ამ მამულისა ეადაზედ შესატანს უერ შეიტანდა, მყიდველი მალე გამოსხენოდა და ბანკს ზარალი არ მოსელოდა. მეორეც ესა, ბანკის გამგებელნი კურ-მახეილად უნდა ყოფილიყვნენ და რამ-

წამს შესაძლებელი შეიქნებოდა საჩვებლის შემცირება  
სესხის ამღებთათვის, მაშინევ მიეღოთ ყოველივე საშუა-  
ლება ამ საქმის შესასრულებლად, რომ სხვას აღ-  
რავის მოსვლით სურეილი და განზრახვა მეორე  
ამისთანავე ბანკის დაარსებისა ჩერნის ბანკის გვერდით.  
ბანკის გამგებელთ რომ ბანკის კეთილ-დღეობა ჰქო-  
ნილათ მუდამ სახეში, უნდა ცდილიყვნენ მისი მოქ-  
მედება მოელს კავკასიაზედ გაეჭრიცელებინათ და ჯე-  
როვანის სიფრთხილით, წინდახვდულობით და თავა-  
ზიანობით, რაც შეიძლება მაღა, შეესრულებინათ  
სურეილი სესხის ამღებთა. თამამად ვიტყვით, რომ  
თუ ებლი ინკრის 1-ამდე 1892 წლისა ცხრა მიღი-  
ონამდე გაცემული, როცა ჩერნი ბანკი მოელის  
კავკასიის ბანკი იქნებოდა, ეს გაცემულობა ერთი  
სამად თუ არა, ერთი ორად მაინც იმატებდა და თუ  
ამისთანავე ბანკი ასცდებოდა ზოგიერთ ცხადსა და  
თვალსაჩინო შეცდომას, წელიწადში წმინდა მოვება  
ათი ათასი თუმანი კი არა, ერთი სამად ამაზედ მეტი  
უნდა ყოფილიყო. პქედამ წესდების ძალით ათი  
ათას თუმანზედ მეტი ყოველ წლიე უნდა მოხმარე-  
ბოდა ქართლ-კახეთის მიწის მუშათა და მიწის-მფლო-  
ბელთა საყოველთაო საქოროებას. წარმოიღვინეთ,  
რამდენი სასაჩვებლო საქმის დაწყება შეიძლებოდა,  
რამდენი არის განახლდებოდა, რამდენი მინდობრი  
განაყოფიერდებოდა, რამდენი სასწავლებელი დაარ-  
სდებოდა, რამდენის მამულის-შეიღს მიეცემოდა გზა



განვითარებისათვის, ჩომ მასული თავისი ცოდნა-დღისა  
გამჭრიანობა საქეუყნოდ მოვხმარებინა!

\* \* \*

პხლა გადავავლოთ თვალი იმასაც, თუ როგორ  
ასრულებდა თ. ჭავჭავაძე ამ პროექტამას, რომელიც  
მაშინევ უნდა თვალ-წინ გამოესახა, რაյი ბანკის  
გამგეობის უფროსობა ჩააბარეს.

ჯერ ერთი ეს, ჩომ ჩეენს ბანკს ცხეორ-  
წინ, თბილისში დაუტანეს იმისთანა ბანკი, რომელ-  
მაც იყისრა მნილოდ ნაწილი ჩეენის ბანკის ოპერა-  
ციებისა, ე. ი. თბილისის მამულებზედ სესხის გაცემა.  
შთავენოდ, უძირისფულოდ (\*) დაიწყეს ეს საქმე  
და ხუთი-ექვსის წლის განმავლობაში ხუთ მილიო-  
ნამდე სესხი გასცეს მარტო თბილისში, სესხი, რო-  
მელიც უნდა გაეცა ჩეენს ბანკს, თუ ზოგიერთი  
იმის გამგებელნი უგულოდ არ მოჰკილებოდენ მათ  
მოვალეობას და ამ სიტყვებით არა შედიდენ  
ბოლოშს თავიანთ გულ-ხელ-დაკრეფას, — ჩეენი ბანკი

(\*) ჩეენს ბანკს კა ძირის ფული დაარჩებას დროს-  
შე 240,000 მან ჭიათურა და მასული თანდათან შესამ-  
ნებეა და მარტყდომა როგორც ეს ფული, ისე წესდების  
ძალათ გადადებული თანსა. თანარის 1-სათვის 1892 წ.  
ბანკსა ჭიათურა ძირის ფული 356,226 მან. 34 კა. დ  
სათვარით თანს 105,380 მან. 20 კა.



ხომ დუქანი არ არის, რომ მუშატრის შემთხვევა  
საჭირო იყოს. პშით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ  
ჩვენს ბანქს მიეღო ზოგიერთი საექვი მამულები,  
საკრედიტო ბანკში დაგირავებულნი, მაგრამ საიმედო  
მამულები კი პატრიონებს სწორედ ჩვენს ბანკში  
უნდა დაეგირავებინათ, რადგან საკრედიტო ბანქს  
ისე იაფად ვერ უნდა ვაეცა სესხი, როგორც საად-  
გილ-მამულოს. სხეას ყოველისფერს რომ თავი და-  
ვანებოთ, ახლად დაარსებულს ბანქს ახალადვე უნდა  
ეწეორთა ყოველ წლიური ხარჯი გამგეობისა, რო-  
მელიც არა მცირედს ფულს შეადგენს და რომელიც  
საადგილ-მამულო ბანქს თავის ხარჯთ-აღრიცხვაში  
შეტანილიცა ჰქონდა და წყაროც აღმოჩენილი. მაგ-  
რამ, კიდევ ვამბობთ, მაინც საკრედიტო ბანკმა,  
ბევრად ჩვენს ბანკშედ გვიან დაარსებულმა, უკანა-  
სკნელს ხუთ მილიონამდე სესხი გამოსწირა და მით  
ყოველწლიერ ხუთი ათას თუმანზედ მეტი მოგება  
დააკლო; (\*) გამოსწირა მხოლოდ იმიტომ, რომ  
ახალის ბანკის გამგებელნი უფრო მუქითად ეყიდე-  
ბოდენ თავიანთ საქმეს, ხალხს თავაზიანად ეპყრობო-

(\*) ეს ხუთი ათასი თუმანი გამოანგარიშებულა  
ნახევარ პროცენტის დავდებას შემდეგ ჩვენს ბანკში  
1891 წ., თორემ ამაზედ წინად ხუთი ათასის თუმნის  
მაგისტრად შეიძიო ათას ხუთასი თუმ. აქნებოდა.



დენ და გულისა და გონების გამოშრომელს კან-  
ცელიარიზმს არ მისდევდენ.

\* \*

მს კიდევ არაფერი.

თუ იბილისში ჩეენს ბანქს ლონიერი მოცილე გა-  
მოუჩნდა და ღონიერადაც შეუშალა საქმე, ბანკის გამგე-  
ბელნი იმას მაინც უწილეს უდილიყვნენ, რომ სხვაგან მოე-  
ნაცელათ ხელი და თავიანთ ბანკისათვის იქ ფრთა  
გაეშლევეინ გმინათ. და აი მაჩოთლაც 1888 წლიდამ  
განსაკუთრებით გამგეობაშ თავისი ყუჩადლება მიაქ-  
ცია ბაქოს, სადაც სესხის აღების მსურველი მრავალი  
აღმოჩნდა. ზამგეობის ზოგიერთა წეერთ საჭიროდ  
დაინახეს ბაქოში ხშირ-ხშირად გარათ, იქაუჩ მცხოვ-  
რებითათვის ბანკის წესდება გაეცნოთ და სესხის აღე-  
ბის მსურველს პირდაპირ შეპყროდენ, პირდაპირ აეხ-  
სნათ, თუ რა შეღაერთს აძლევედა მათ ბანკი სხვა მო-  
ვალეებთან შედარებით და თითონაც აღავრობრივ  
კარგად ჩატყვირებოდენ ყოველსავე ეითარებას საქმი-  
სას. ამ ხშირმა სიარულმა და საქმის პირისპირად ახ-  
სნამ ბანქს ის სარგებლობა მოუტანა, რომ წელი-  
წად ნახევარში მარტო ამ ქალაქში 800,000 მანა-  
თამდე სესხი გაიცა და წელიწადში ბანქს 12,000  
მანათი წმინდა მოვება მოემატა ჯერ-ჯერობით; მე-  
რე ისე, რომ არც ერთი მანათი ზარალი არ მოსუ-



ლით იქაუჩ მამულებზე, რომელნიც არა თუ შეანტის  
არ დარჩენიან და არც გაყიდულან, გაწეოში გამოუ-  
ხადებამდისაც კი თითქმის არ მისულა საქმე.

ძალიან კარგით, იტყვიან: თუ ბანკის გამგებელ-  
მა თ. ჭავჭავაძემ მასთალისში გამჭრიახობა უერ გამოი-  
ჩინა და გვერდით ისეთი მოცილე გამოუჩნდა, რო-  
მელმაც მისს კუთვნილს ულუფაში წილი ჩაიღო და  
გაუნახეებრა, გაუნახეებრა ისე, რომ არაეითარი სა-  
რგებლობა და შელავათი არ მისცემიათ სესხის  
ამღებთ,—სამაგიეროდ ბაქოსთეის გადაუწევდენია თა-  
ვისი შორის მკერრეტელი თეალი და ცდილა დანაკარგი  
ამოეფოთ. ნუ გაიოცებთ, თუ გეტუვით, რომ აქ  
თ. ჭავჭავაძე არაფერს შეუშია და თუმცა ის ბანკის  
გამგებელი იყო და ეს გაერცელება ბანკის ოპერა-  
ციებისა იმის ჩემა-როგორაც უნდა მომზღვდარიყო, მა-  
გრამ ეს ჩემა-როგორ თითქო ძალად არის გამოვლე-  
ჯილი და თანაგრძნობა, ან სურჩეილი ასე საქმის  
წაყენისა კი თან არ გამოჰყოლია. თუ თ. ჭავჭა-  
ვაძეს ესმოდეს, რა მნიშვნელობა აქეს ბანკის ოპე-  
რაციების გაერცელებას და თანაუგრძნობდეს, იტყო-  
და იმას, რაცა სოქეთ საზოგადო კრებაში ამ საფან-  
ზედ და რაც იმისსაეფ გაწეოში ჩაბეჭდილია:

«რა დააკლდაო ვითომ ქვეყანას, რომ გამგეო-  
ბის წევრი აღარ დადის ბაქოში? ან რისთვის უნდა  
«წაეიღდეს? იმისთვის, რომ ბუკა და ნალარას დაპყრის,  
«მოდით მაშერალნო და ტეირთ-მიმდენო, მე განვი-



«სკენებთო. მინც გაქირებულია, ის თითონაც ქარებად მოგენახაეს, ამისთანა ბუყითა და ნალარით კი მარტო იმას თუ შემოვიტყებთ, რომელსაც არ უჭირს და ტყუილად იღებს ვალს.» («ივერია» 1891, № 114).

ჩერ დაპედიეთ ამ კაცო-მოყვარულს მზრუნველობას ბაქოელ ეაჭირებისათვის,—ვაი თუ ზოგს ას უჭირდეს და ტყუილად აიღოს ვალით. შეთქმა თოთო ვრომობით მოანგარიშე ბაქოელი ეაჭირები ჩენი ჩათუქესნები იყვნენ და ვალს მუსუსივით ედებოდენ გაჭირებისა, თუ გაუჭირებლობის დროს? ახლა ვასინჯეთ, თუ ამ სიტყვებში რა სიმრედე და საქმის უცოდინარობა იმაღება: ვისაც უჭირს, თითონვე მოგენახავენო. ახირებულია, თქვენმა მზემ! ამ ვერს დროუმოვმულს შეხედულობას თბილისელებმა ვერ გაუძლეს და გეერდით სხვა ბანკი ამოგიყენეს და ენის უცოდინარ, ბანკის საქმეების უმცკარ ბაქოელებისაგან კი მოვლით, რომ ათას ორასს უჩისს ვაიგლიან მხოლოდ იმისთვის, რომ თ. პავჭავაძეს მოკითხვა მოახსენონ და შეიტყონ, თუ ბანკი რა პირობებით აძლევს სესხსა. ზამგეობის წევრის რა უნდა ბაქოშიო? ის უნდა სწორედ, რასაც თქვენ თქვენს სიტყვაში ავრე დაცინეთა პრიმენებთ. უნდა მოუწოდოს „მაშერალთა და ტეირთ-მძიმეთ“ არა ისე მასხრულად, ბუკ-ნალარის დაკერით და თავ-ზედ ჩაჩის დახურეით, არამედ აღამიანურად, როგორც



წესი და რიგი მოითხოვს და ყოველს მსურველს აუქს  
სნას, რა განსხვავება კერძო ვალსა და ბანკის ვალს  
შეა; აჩვენოს ის გზა, რომელიც შეღავათს მისურ  
სესხის ამღებსაც და ბანკსაც აუარებელ სარგებლო-  
ბას მოუტანს.

თ. შავქავაძის სიტყვიდამ გამოდის, რომ ვაჭ-  
ვეობის წევრის სიარულს ბაქოში არაფერი სარგებ-  
ლობა არ მოუტანია, რაღაც კისაც სესხი უჭირს,  
ისედაც მოგენახავსო. პხლა გასინჯეთ საქმეები და  
ნახეთ, თუ რაედენი სიმართლე და ცოდნაა ამ სიტ-  
ყებში: ბანკს ბაქოში სესხის გაცემის ნება 1881  
წლიდამა აქვს. რა გასცა ამ წლიდამ დაწყებული  
1888 წლამდე, ე. ი. იმ დრომდე, როდესაც გამგეო-  
ბის წევრთ თავთავის დროზედ სიარული დაიწყებ  
ბაქოში, ამ ქალაქისა და ბაქოს გუბერნიის მამუ-  
ლებზედ? სულ ორასი თუ სამასი ათასი მანათი შეი-  
დი წლის განმაელობაში. (\*) 1888 წლის მაისიდამ  
კი, როდესაც პირველად წაეიდა გამგეობის წევრი  
განცხადებათა მისაღებად სესხის აღების მსურველთა-

(\*) როგორც ეჩნა, ისე შემდეგში, კურ გატუკით,  
რომ ჩეჭიდ წილი დაფინანსით თითოეულ ბანკთაშე ნამდვიდა  
მყოს, რადგან ბანკის საქმეები სედთ არა გააქვს და  
მხოლოდ დაბეჭდით ანგარიშებს კემუარებით. მაკრამ  
ათასობით რომ კიანგარიშოთ, ნამდვილთან იმოდენ  
კანსხევებსა არ იქნება, რომ ჩეჭის აზრის საბუთია-  
ნობა დაარღვეოს.



ვან, 1889 წლის დასასრულამდე — წელიწად ნახევარი ში ჩეასი ათას მანათზედ მეტი და რაც ამ წლებში დაწყებული საქმე 1890 წელს შესრულდა ის კიდევ სხვაა. თუ იმას იტყვის თ. პავჭავაძე, რომ ეს გამგეობის წევრთა სიარულზე არ იყო დამოკიდებული, ფულის საჭიროებამ გამოიწვია, როგორ მოპნდა რომ ეს ფულის საჭიროება თითქო მაშინვე გაჰქია, რამწამს გამგეობის წევრთ სიარული შესწყეიტეს და 1890 წლიდამ ბაქოში სესხის აღების მსუბუკელი თოთქმის აღარაეინა ჩნდება, თუ არ ისინი, რომელთაც საქმე 1889—90 წელსევ დაიწყეს.

იანგარიშონ ახლა თ. პავჭავაძემ და იმის მომხრეთ, რა სარგებლობა მოუტანა სამოკუმა თუ თოხმოცმა თუმანმა ერთბაშად გამგეობის წევრთა წასასელელად დახარჯულმა ბანკს. ხომ იციან, რომ მილიონამდე გაცემულს სესხს ამ ქამადაც კი, სარგებლის დაკლების შემდეგ, ათასი თუმანი შემოაქვს ყოველ წელს წმინდა მოგება და ერთბაშადაც ათასი თუმანი დამფასებელთა წასელა-წამოსელისა და გირაენობის ფურცლების დაბეჭდვის ხარჯი, საიდამაც კიდევ კარგაზორბა ლუკიმა რჩება ბანკს, — იანგარიშოს ყველა ეს და პასუხი თითონევე მოუძებნოს თავის საკითხაეებს ასე თამამად და საზოგადოების დაბრივებით წარმოთქმულს.

მაგრამ რა?! რა საბუთები გასჭირის, რა ციფირები აუხელს თეალს იმ აღამიანს, რომლისთვისც უჩითი სიტყვა სამყოფია საბუთების დასარღვევადაც



და ციფირების მოხაშლელადაც! საკმარისი გამოვე; „ჩეუნი  
კავკავაძეს ეთქვა ბაქოში სიარულის გამოვე; „ჩეუნი  
„ბანკი დუქანი ხომ არის, რომ მოხიბლეა და მუშ-  
„ტრის შემოტყუება საჭირო იყოს“ (იეკრია 1891  
წ. № 103), — და აი იმის თაუეანის-მცემელთ ეს შე-  
დარება ეყოთ ციფირებადაც, საჭირო გასინჯეადაც და  
ვაშა ვაშას ძახილით მიევებნენ თავიანთ მოსხარტუ-  
ლეს სიტყვებს. ზაბედეთ ესეთ განგაშის დროს და  
უთხარით ამ ვაშა-ვაშას მცენრალთ, რომ აქ სიტყ-  
ვებით თვალების აბმით არათერი გამოიჩინება; რომ  
თუ შედარებაზედ მოღვა საქმე, ბანკიც დუქანსავითა  
ვაჭრობს, მხოლოდ პირველი ვაჭრობს სხეის ფუ-  
ლის ალებ-მიცემით, იაფის სარგებლით სესხულობს,  
ცოტა ამაზედ ძეირად ასესხებს და განსხვავებას თა-  
ვის სახარებლოდ იღებს; დუქანიც სხეის საქონელს  
იაფად ჰყიდულობს და ძეირადა ჰყიდის. მართალია,  
ბანკს თავისი წესდება აქვს, თავისი ზედამხედველი  
ჰყავს, გადაჭრილი ფასი აქვს დანიშნული სესხისა ყვე-  
ლა მსესხებლისათვის და ამ წესდებას, ამ ზედამხედ-  
ველობას, ამ სესხის ფასს (სარგებელს) ვერსად წაუ-  
ვა; მაგრამ ეეროპიულად მოწყობილი დუქანი რომ  
ავილოთ, იქაც გაღაწყვეტილი ფასებია, იქაც წესი და  
რიგია და ამ მხრიց ამ ირ დაწესებულებას შორის  
არათერი განსხვავებაა; მაგრამ არა, დუქანის მხსენე-  
ბელმა იკოდა, რომ ამ სიტყვის წარმოთქმის უმაღ-  
ლე მსმენელთ თვალწინ წარმოუდგებოდათ დამპალი



საქონლის გამსაღებელი, ქვეყნის მატუურა, ჭუჭყანა-  
ნი მედუქნე და ესა კმარითდა ფარიადაც, ხმალადაც  
და მრუდე აზრების საბუთადაც.

ნუ შეეუშინდებით მედუქნეობის სახელ-წოდე-  
ბას და ახელილის თეალებით შეეხედოთ საქმეს: ბან-  
კი შუამავალია ფულის პატრონსა და ფულის სეს-  
ხად ალების მსურველს შორის, ფულის მაღაზიაა,  
დუქნია, თუ მაინცა და მაინც მოგწონთ ეს სიტყვა,  
მაგრა: მ ისეთი დუქანი, რომელიც ქვეყნის სასაჩივალ-  
ლოდ არის დაწესებული და არა მარტო მედუქნისა;  
ვისაც ამ დუქანს მიანდობენ, ის დამპალს საქო-  
ნელს კი არ უნდა ასაღებდეს, „მაშერალთ და  
ტეირთ-მიმეფ“ თავაზიანად ეკიდებოდეს და დრო-  
შედ, დაუყოვნებლიე, ჯეროვანად უსრულებდეს მათს  
კანონიერს მოთხოვნილებას; ზარმაკეობა და მცო-  
ნარეობა საკეთურად კი არ მიაჩნდეს,—პირნათლად  
ასრულებდეს თავის მოვალეობას იმ საქმის წინაშე,  
რომელიც საზოგადოებას მიუწდება.



დაექსნათ ახლა ბაქოს, თავს გადაუყელოთ  
მოელს კავკასიას და მეორე ზღვის პირად მდებარე  
ქალაქს მიენედოთ. მს არის პათუმი, სადაც გამგე-  
ობამ მოიწადინა თავის მოქმედების გაერცელება, სა-  
ზოგადო კრებასაც ნება-როგა მოსთხოვა და თხოვ-



ნაც გამგზავნა ამ საქმის შესახებ ფინანსთა მინისტრი როში, მაგრამ ამ ქალალდზედ სამინისტროდამ უკარი მოუყვიდა. მასუკან, როდესაც ფინანსთა მინისტრი კაციასიაში მობანდა და ბათუმში გაიარა, ბათუმის ქალაქის თავში პირისპირად სიხოვა, ნება მიეცით იმპილისის სათავეად-აზნაურო ბანკს ბათუმის მამულებიც მიიღოს გირაოდათ. მინისტრმა უპასუხა, მეწინააღმდევი არა ვარ, თუ ბანკის გამგეობა დასთანხმდებათ (\*). ბანკის გამგებელი რომ მისულიყო მინისტრობან და თავის მხრითაც პირისპირად ეთხოვა ამ საქმის გამო, რაღა თქმა უნდა მინისტრი მაშინვე დასთანხმდებოდა და საქმე დაუყოვნებლივ გაკეთდებოდა. მაგრამ თ. ჭავჭავაძეს ან რაღაც ბუნდი წარმოდგენა აქვს სამინისტროში საქმეთა მსელელობისა, ან სრულიად არ თანაუგრძნობს ბანკის მოქმედების გაერცელებას და თითქო ძალ-დატანებით აწერს ხელს ქალალდებს, რომელთა შესრულებაც სრულიად არა სწალიან. შამისოდ როგორ აიხსნება ის ამბავი, რომ ხელი არ ჩასჭიდა მარჯვე შემოხევას—მინისტრის კაციასიაში ყოფნას და პირადად არ აუხსნა, რაც ბანკს ეჭირებოდა საზოგადოდ და სხვათა შორის ბათუმის მამულების გირაოდ მიღების უფლება არ ითხოვა? სხვას კუელაფერის რომ თავი

(\*) :მაზე თევიციალური ქალალდა ბანკის საქმეები.



დავანებოთ ამის მოვალე მარტო იმიტომ იყო, რომ ბანკის გამგეობამ მისწერა ბათუმის ქალაქის თავს, ჩეენც ერშეამდგომლებთ პირადად მინისტრობა ამ საქონის გამო, როცა თბილისში ჩამობრიზნდება და ოქენც თქვენის მხრივ რომ ითხოვთ, კარგი იქნება. მისწერა ეს გამგეობამ, მაგრამ არ შეუსრულა კი თ. მაკევაძის დაუდევერობის გამო, და მით პირობა გაუტეხა მეორე დაწესებულებას რომლის წი. ნაშეც მოვალე იყო სიტყვა შეესრულებინა.

უცნაურად მართლულობდა თ. მაკევაძე თავს, როცა კუნძაზედ უსაყველურეს, რატომ მინისტრი პირდაპირ არა ნახე და პირდაპირ არ მოახსენე ბანკის საქიზიონებათ: ჯერ ისა სოქეა, ვანა ჩემს მეტი არავინ იყო გამგეობაში, რატომ სხვანი არ წაეიღნენო და თავის ვანკარგულება კი დაავიწყდა, რომლის ძალითაც არავითარი, ცოტაც არის მშიმე საქმე, უიმისოდ არ უნდა გადაწყვეტილოყო, და ამ საბუთმა რომ ეერა ჰქნა-რა, მოკლედ მოსკრა სიტყვა,— მინისტრის ნახეა რას უშეელიდა საქმესათ— „ვერც ჩემი მისელა დააჩქარებდა საქმეს და ეერც ჩე. „მი მიუსელელობა დააბრუოლებდათ“. („იურია“ 1891 წ. № 103.)

რახან ასეა, მაშ კუელამ გულ-ხელი დაფიქტი-ფოთ, მცონარეობა ეარჩიოთ, ნურას გაეკეთებთ და თ. მაკევაძის მიბაძეოთ ეიძახოთ: იშალლაჭ, იშალლაჭ! რაც ლეთის ნებაა, უჩეენოდაც გაკეთდება



და ცდითა და საქმიანობით თაერი რაღად შევიწყებული  
ხოთო.

დიდ, სწორედ ეს აზრია, ეს დარიგებაა, ეს  
მოძღვრებაა თ. შავჭავაძის სიტყვაში წარმოთქმული  
და ამ მოძღვრების კათედრად გაუჩდია მას თაერის გა-  
ზეთიც, ბანკის თაემჯდომარის ადგილიც და თამამად  
გაიძახის, მოვედით ჩემთან მაშერალნო და ტეირთ-  
მძიმენო და მე განვისევნებოთ და მართლაც რომ  
განუსევნებს და „განსევნებით“ ქხოერების წესსაც  
კარგად გააზეპირებინებს.

შეონებ ცხადად დაეინახეთ, თუ როგორ გამს-  
ჭალულა თ. შავჭავაძე იმ სურვილით, რომ ბანკის  
ასპარეზი გაუკრულოს და უფრო დიდს მოედანშედ  
ამოქმედოს; ახლა ისიც გავსინჯოთ, თუ როგორ ეჩო-  
გულად მოვაყრა თ. შავჭავაძე ბანკის სესხის გაიაფე-  
ბას და ესმის თუ არა, რას ნიშნავს ეს უდი წოდე-  
ბული კონკრეტისა.

ნუ შეემინდება მყითხეელს, რომ ციფრიებით  
თვალებს აუკრელებთ და ძნელად გამოსავნებ ბარ-  
ებში გაევებმით, რაკი კონკრეტისა ვახსენეთ. სრულია-  
დაც არა; ჩენ ვეცდებით მოკლედ და ცხადად გა-  
მოვარეოთ, რა არის ეს სესხის გაიაფება, კონკრე-  
ტისა და შემდეგ დაწერილებით გაესინჯავთ თ. შავ-  
ჭავაძის ცოდნას ამ საქმისას, ბანკის კრებაზედ სა-  
ხალხოდ ნაქადაგებს და მასუქან, მის გაზეთშივე გან-  
ხეორებით გამოქვეყნებულს.



\* \* \*

ზემოდა ეთქეით, რომ ბანკი შეუძლებელია ფულის პატრიონსა და ფულის სესხად ამღებს შორის. ბანკი თითონ სესხულობს ფულის პატრიონისაგან და სესხადეებს აძლევს ცოტა მეტის სარგებლით. მერე როდის და როგორა სესხულობს ბანკი? ის სესხულობს მხოლოდ მაშინ, როდესაც მამულის პატრიონი მოდის და თაეის სურვილს უწადებს სესხის აღებისას. ბანკი იყიჩავებს იმის მამულს და გადაჭრილ ფასს აძლევს არა ნაღდის ფულით, არამედ ესრედ წოდებულის გირაენობის ფურცლებით, რომელთაც თუმცა თავიანთ დარქმეული ფასი აქვთ, მაგ. 100 მან., და გალიც სესხის ამღებს ამ დარქმეულ ფასის კვალობაზედ ედება, მაგრამ ნამდევილი ფასი კი ამ ფურცლებისა ბაზარში — ბირჟაზედ — სხვა და სხვაა. ის გირაენობის ფურცლები ეისაც ექნება, ეინც ამათ შეიძენს სესხის ამღებისაგან, ის კოველ წლიერ მიღდებს ბანკიდამ დაუყოვნებლივ ექვსს, ხუთს, ოთხს სარგებელს; ას მანათზე ექვსს, ხუთს თუ ოთხს მანათს, პირობისამებრ. რადგან ჩეენმა ბანკმა თავისი ოპერაციები ექვს-სარგებლიანი გირაენობის ფურცლებით დაიწყო და ეს უფლება ეხლაც შეჩრდილი აქვს, ჩვენც ჯერ ამ ექვსს-სარგებლიანზე ერანგარიშებთ.



რაյი ბანკი აცხადებს, რომ ეისაც ჩემი გილეკ  
ნობის ფურცლები ხელთ ექნება, წელიწადში ექვსი  
საჩვენელი, პროცენტი, მიეცემათ და სრულის თავის  
ქონებით პასუხის გაცემას კისრულობს, რასაცირე-  
ლია, ფულის პატრონი ბანკს უფრო ენდობიან,  
ედრე კერძო პირს; ამის გამო უფრო ნაკლებ სა-  
ჩვენელს დასჯერდებიან და ეს საჩვენელის დაკლე-  
ბა იმაში გამოიხატება, რომ გირაენობის ფურცლე-  
ბის ფასმა აიწიოს. რაც უფრო მეტი ნალი ფული  
ტრიალებს ბირტვილედ და მეტი ნდობაა იმ ბანკისა, რო-  
მელსაც გირაენობის ფურცლები გამოუყია, მით  
უფრო ეს გირაენობის ფურცლები მეტ ფასში იქნება  
და შეიძლება დარქმეულ ფასზედ ზეეითაც აიწიოს;  
მით უფრო, რასაცირელია, სესხის ამლებსაც იაფად  
დაუჯდება ბანკიდამ აღებული ვალი.

მამულის პატრონი რომ ფულს იღებს ბანკიდამ,  
პირობასა სდებს ვალის სრულიად გასტუმრებამდე  
ყოველ ას მანათიან გირაენობის ფურცელზედ ექვს-  
ექსი მანათი იხადოს წელიწადში. მაგრამ ამ ექვსს  
მანათს ვარდა, რომელიც წმინდა საჩვენელია, ყო-  
ველ წლიეუ უნდა აძლიოს ბანკს გადაჭრილი ფუ-  
ლი თავის გადასახდელად. მს თავის გადამხდელი  
ფული გამოანგარიშებულია იმ ვადის კვალობაზედ,  
რა ეაღითაც ბანკიდამ ვალია აღებული და შეადგენს  
წევულებრივ ყოველ 100—მანათიან გირაენობის  
ფურცელზედ 50 კაპეის, 1 მანათს, 1 მან. 50 კ.



და სხვ. ჩეენი ბანკი ეიქონით კიდევ სახელში და  
იმის გირაენობის ფურცლების კვალობაზედ ვინგა-  
რიშოთ. მს ბანკი აძლევს სოფლის მამულზედ სე-  
სის ამლებს 43 წლითა და ნახევრით, ეთქვათ,  
100 მანათის გირაენობის ფურცელს. ამ ფულში  
ართმეტს 6 მანათის წმინდა სარგებელს, 50 კაპეიკს  
თავის გადასახდელს და 1 მან. და 50 კაპ. თავის  
სისარგებლოდ და სხვა და სხვა ზარალ-ხარჯების  
დასაფარებელ, სულ 8 მანათს. რას უშერება მერე  
ბანკი ამ ფულს? 6 მანათის აძლევს გირაენობის ფურ-  
ცლის პატრონს ყოველ წლით და 50 კაპეიკს ავრო-  
ვებს თავის გადასახდელად და როცა მოგროვდება,  
ტირაესა მართავს, ე. ი. ლოტერეისაეით ამოილებს  
ნომერს რომელიმე გირაენობის ფურცლისას, რო-  
მელიც ხალხში ტრიალებს და აცხადებს ამა და ამ  
დღიდამ ამ ნომრის გირაენობის ფურცელში სარგე-  
ბელს აღარ ვაძლევ და ერთ მას წარმოადგენს, ას  
მანათს ნალის მიიღებსო და მართლაც, როცა წარმოა-  
დგენ, მიიღებენ თავის გადასახდელად მოგროვილს  
ას მანათს; 1 მან. 50 კაპეიკს კი, როგორცა ეთქვით,  
ბანკი თავის სასარგებლოდ იღებს სხვა და სხვა ზა-  
რალისა და ხარჯის გასასტუმრებლად. (\*)

\*) ავიდოთ, მაგალითად, ვითომ რომელიმე მამუ-  
ლის პატრონს იქნება სანქციამ 40,000 მან. 43<sup>1</sup>, წლით  
თავის მამულზედ. უკვე წლით უნდა ძღვის, ჩვენის



მოგებაშია თუ არა გირავნობის ფურცლის  
პატრონი, როდესაც იმისი ნომერი ტიტაფში ვამო-  
ლის? ეს იმაზედ არის დამოკიდებული, როგორ ფა-  
სობს ბირეზედ ამ ფამად ესა და ეს გირავნობის  
ფურცელი: თუ დარქმეულ ფასზედ იაფად, ე. ი. ას  
მანათიანი 98, ან 99 მანათად, მაშინ, რასაკეირეე-  
ლია მოგებაში იქნება, რადგან ასს მანათს მიღებს  
იმისთანა ბილეთში, რომელიც 98, 99 მან. ღირს  
და თუ დარქმეულ ფასზე ძეირად, 100 მანათიანი  
101 ან 102 მანათად, მაშინ წააგებს იმდენს, რამ-  
დენითაც ბირების ფასი მეტია დარქმეულ ფასზედ.  
მს არის მიშები, რომ როდესაც ექვთ-პროცენტიან

ასეთი მათ, 3200 პ. ხ. (ეს თვეში ერთხელ  
1600 მან.) უკანასაზე, კადრე თრმოც და სამა წელი-  
წადა და ესები თვე შესრულდებოდეს, თუ როდისმე  
ერთხაშად თავის არა შეიტანა-და. ამ 1600 მანათიანმ,  
რომელიც უოგად ესები თვეში ერთხელ შეაქვს სე-  
სხის ამდებს ბანკში, პირველ ესები თვეს 1200  
მან. მაღას წმინდა სარგებელში და ბანკი კირა-  
ვნობის ფურცელების პატრონებს აძლევს, 100 მა-  
ნათით თავისა ჩხდილობს იგივე ბანკი, ე. ი. ტანაური  
გამოჭერას სწორედ 100 მანათის გარავნობის ფურცელი  
და დანარჩენის 300 მან. თავისთვის იღებს. რაკი 100  
მან. ტანაური გამოდის, ამ მაჟუდზე გამოცემულ გა-  
რავნობის ფურცელებს 40,000 მანათისას 100 მან.  
აკლებდათ და მემდებს ესები თვეში ბანკს აღარ დასკორ-  
დება სრულად 1200 მანათის გაღება წმინდა სარგე-



გირაენობის ფურცლების ნამდეიღლი ფასი პს მანა-  
თამდე, დარქმეულ ფასამდე, აღის, მასუკან თითქმის  
ერთ წერტილზე დგება და ზეთ თუ აიწევს, ისიც  
ორი და სამი მანათით, თორემ მეტით არა. მართ-  
ლაც, ეინ მისცემს ას შეიღსა და ას რეა მანათს ამ  
ბილეთებში თუ კი ეცოდინება, რომ ხეალ, ხეალ-  
შეეით შეიძლება იმისი ბილეთი ტირაფში გამოვიდეს  
და ას შეიღის, ას რეა მანათის მავიერად მიიღოს  
მოლოდ ასი მანათი.

პხლა ენახოთ, ჩა განსხვაებაა ექვს პროცენ-  
ტიანის გირაენობის ფურცლებითა და ხუთ პრო-  
ცენტიანით აღებულს სესხს შეა.

თუ ერთსა და იმავე ბანკს უფლება აქვს ექვს-

---

ჰელმა, არამედ მქესის მანათით ნაკლებისა, რადგან  
უოულ 100 მანათს 6 მანათი აქვს წმინდა სარგებელი. ბანკის  
ნაკლები დასტურდება, მაგრამ სესხის ამღები კი მოვალეა  
სრულად შემოიტანოს. მაშრავ უშერება ბანკი ამ მეტს 6  
მანათს? უმატებს თავნის გადასახველს უოულს და შემდგრეს 6  
თვეში 100 მანათის მაკინტად ტირაფში 106 მანათი  
გამოიჭავს. ამ სახით სესხის ძმღებისაგან უოულ 6 თვე-  
ში შესატანი 1600 მან. უოულ 6 თვეშის სხვა და  
სხვა გვარად საწილდება, კ. ი. თანდათან მატერიალს ის  
ნაწილი, რომელიც თავნისა სხდილობს და ის კი თანდათან კლე-  
ბულობს, რომელიც წმინდა სარგებელს შეადგენს იმ ანგარი-  
შით რომ  $43\frac{1}{2}$  წელიწადში ამ 1600 მანათში უოულ ქვეს  
თვეში შეტანილის სრულად თავნის გადახდის და  
სარგებელიც.



პროცენტიანი ფურცლების გამოცემისაც და სუთ  
პროცენტიანისაც და თუ ექვს-პროცენტიანებმა  
დარწმუნდ ფასს ზევით აიწიეს, მაშინ ჩეკულებრივ  
ხუთ პროცენტიანების ფასი ას მანათს უახლოვდება,  
ხშირად აღის 98, 99, თვით 100 მანათამდეც.  
98 რომ აფილოთ ხუთ პროცენტიანის ფასად და  
102 ფასად ექვს პროცენტიანისა, მაინც კიდევ დიდი  
სარტყა იქნება მამულის პატ/რონისათვის, თავისი სე-  
სხი ხუთ-პროცენტიანით აიღოს და არა ექვს-პრო-  
ცენტიანით, რაღაც პირებელ შემთხვევაში 98 მანათში  
აძლევს 5 მანათს და მეორე შემთხვევაში 102 მანა-  
თში 6 მანათს, ე. ი. ოთხი მანათით მეტსა დებუ-  
ლობს ერთბაშად, მაგრამ ამ ოთხი მანათის გული-  
სთვის ერთ მანათს ტეირთად იდებს წელიწადში;  
ოთხ მანათშედ ერთ მანათს, ასზედ ოცდა ხუთს,—  
ეს გამოდის სწორედ ოც და ხუთი პროცენტი ერთ-  
ბაშად მეტად აღებულს ფულზედ და ეინც კი  
თვალზილულია, რომელი დაყაბულდება და ამისთანა  
პროცენტით აიღებს ბანკიდამ ეალს ეხლანდელ  
დროს? სულ თუ ერთად ეიანგარიშებთ, გამოვა  
რომ ხუთ პროცენტიანის აღების დროს 100 მა-  
ნათშე სესხის ამღები აძლევს მხოლოდ 5 მანათს  
და 10 კაპ. და ექვს-პროცენტიანის აღების დროს კი  
5 მანათს და 88 კაპ. იმავ 100 მანათშე. (\*)

(\*) მართალა ხუთ პროცენტიანის კალის გადა-



როდესაც ფული იმდენად გაიაფდება, რომ ექვს-  
პროცენტიანი გირავნობის ფურცლები დაზმეულ  
ფასამდე და კიდევ მეტს აიწევს, მაშინ ყოველი ბან-  
კი მოვალეა, რაც შეიძლება მაღა, მოიპოვოს უფლე-  
ბა ნაკლებ პროცენტიანის გირავნობის ფურცლების  
გამოცემისა. მს აუცილებლად საჭიროა, თუ უნდათ  
სესხი გაიაფდეს და სესხის ამდებთ დიდი შეღავათი  
მოეცეს; მიეცეს შეღავათი ისე, რომ ბანკს სრულიად  
ზარალი არა მოუკიდეს-რა

ზემოდ-ნათქვამიდამ უხადადა სჩანს, რომ ეინც  
კი ახლად იღებს გალს, იმისთვის დიდი შემატება  
იქნება ამ ვეარ ფულის სითაფეში ხუთ-პროცენტიანი  
გირავნობის ფურცლებით აიღოს სესხი ექვს-პრო-  
ცენტიანის მავიერად, მაგრამ ბანკის ძველ მოვალეო  
რალა ჰქნან? იმათ, რომელთაც ბანკიდამ აულიათ  
კიდევ ექვს-პროცენტიანი გირავნობის ფურცლები  
და პირობაც დაუდევთ, ეიღო ჩემს ვალს სრულიად  
გადაეიხდიდე, ექვს-ექვსი მანათი ვაძლიოთ ყოველ  
ას მანათზე მარტო სარგებელიო?

პი სწორედ ამ ძველ მოვალეოთათვის არის მო-  
გონილი კონცერსია, ანუ ექვს-პროცენტიანის სე-

სდეს ერთი-ორი წლით შეტი ხანი მოუნდება, მაგრამ  
ერთ კლაზედაც რომ კავნებარი მოთ, მათწე დიდად სა-  
სარგებლო იქნება ამისთვის ფასების დროს ხუთ-პრო-  
ცენტიანით აღება.



სხის ხუთ-პროცენტიანზე გარდაცვლა, ან კერძებრუნვა  
პროცენტიანისა თოხ-პროცენტიანზე და სხვ.

\* \*

რომელმა მკითხველმაც კი ყუჩადღებით წაა-  
კითხა, რაც შემოდ იყო ახსნილი, ის ორის სიტუ-  
აცია მიხვდება კონვენიენტის მნიშვნელობას. მართლაც,  
წარმოებიდგინოთ, რომ რომელსაც პირს მართებს 100  
მანათი ბანკისა ექვს-პროცენტიანი და სესხი ისე გა-  
იაფდა, რომ ხუთ-პროცენტიანად გადაცვლა ამ სესხის  
სასაჩვებლო იქნება. რას ჩადის მაშინ ბანკის გამვე-  
ობა? თუ ხუთ-პროცენტიანის გირავნობის ფურცლე-  
ბის გამოცემის ნება აქვს მოპოვებული, რომელსაც  
ფურცლის პატრიონის მოელაპარაკება, ექვს-პროცენტია-  
ნის მავითაც ხუთ-პროცენტიანი გირავნობის ფურ-  
ცლები რომ გამოვყე, რა ფასად აიღებ ამ უკანასკ-  
ნელთაო. მს მოლაპარაკება, რა თქმა უნდა, ბირ-  
ების ფასებთან იქნება დამოკიდებული და რაკი გამვე-  
ობა წინაღვე ასე დაიკერს საქმეს, ფინანსთა მინის-  
ტრიისაგან ნება-რთვეს გამოითხოვს კონვენიენტისას.  
ჩეულებრივ ფინანსთა მინისტრი ასე სესხის გაიაფ-  
ბისა აჩამც თუ წინააღმდეგი არ არის, თანაუგრძელობის  
კიდევ, რადგან რაკი საზოგადოდ ფურცლი იაფდება,  
სახელმწიფო ეალსაც სარგებელი აკლდება და ამით და-  
დი შელავათი ეძლევა მთელის სახელმწიფო ას კასას.



ვთქვათ, მოლაპარაკება ფულის პატრიონთან  
გათავეშულია და კონკრეტულის ნება გამოტანილი; მა-  
შინ ძეგლი მოვალე ბანკისა ბანკს გამოუსხადებს, მე  
მინდა ჩემს სესხს კონკრეტულის გაფუკეთოვ და ბანკიც  
ამის მამულზედ იმდენს ხუთ-პროცენტიანს გირაენო-  
ბის ფურცელს გამოსცემს, რამდენიც ექვს-პროცენ-  
ტიანი ვალი ითვლება. რაღაც შესაძლო არ არის,  
ერთსა და იმავე მამულზედ ორჯერ გამოცემული  
გირაენობის ფურცელები ხალხში გაეიძეს, ბანკი მო-  
ვალეა წინად გამოცემული ექვს-პროცენტიანი ფურ-  
ცელები მოსპოს და მხოლოდ მაშინ გასცეს თავის  
კასიდამ ხუთ-პროცენტიანები. ჩემს მავალით რომ  
დაუკავშირდეთ, ბანკმა უნდა დაამზადოს ას-მანათიანი  
გირაენობის ფურცელი ხუთ-პროცენტიანი და ამ მა-  
მულზედევ წინად გამოცემული ექვს-პროცენტიანი კი  
ტირაეში გამოიყენოს, გაამათოლოს და გამოაცხადოს,  
რომ ამა და ამ ექვს-პროცენტიან გირაენობის ფურ-  
ცელზე ამა და ამ სარგებელს აღარ გაძლევ, რაღაც  
კონკრეტული მოვახდინეთ და პატრიონი, როცა ამ გი-  
რაენობის ფურცელს წარმოადგენს, თავის დარჩევ-  
ულ ფასს ას-მანათიანზე ას მანათს დაუყოვნებლივ  
მიიღებსთ.

საიდამ უნდა მოიპოვოს ბანკმა ტირაეში გამო-  
სულ გირაენობის ფურცელების გასასტუმრებელი ფუ-  
ლი? აქ, მართლა, ჩემვაც მავალითად დასხელებულ  
100 მანათის საქმე ხომ არ არის,—მიღლიონების სა-



შემა და ერთბაშად დიდძალი ფულის შორინა მოუწყება  
პა ბანკსა. მაგრამ სწორედ ის 100 მანათის მავალი-  
თი გამოგვირკვეულ საქმეს მოელის თავისის სიტუა-  
ციანით. მართლაც 6-პროცენტიანის გირავნობის  
ფურცელის ფასი ჩომ 102 მანათად ჩაეთვალით და  
იმავე დროს 5-პროცენტიანისა 98-ად, მაშინ კონკრე-  
ტის მსურველმა კოველ ას მანათიანს გირავნობის  
ფურცელზე 4 მანათი კი არ უნდა დააყაროს, რაც  
იქნება პირველის შეხედვით ეფონოს ბანკის საქმეში  
არ ჩახედულს და როგორცა ჰვონია თ. პავჭავაძეს  
(ამას ჰერთ და გამტკიცება), არამედ მხოლოდ 2 მანათი,  
რაღაც კონკრეტისიას აუცილებლად ტირავი მოსდევს და  
ტირავში გამოსულს ხომ მარტო 100 მანათი ეკუთვნის.  
მაში ბანკი ტირავში გამოსულ 6-პროცენტიან გი-  
რავნობის ფურცელის გასასტუმრებლად საჭიროებს  
მხოლოდ 100 მანათს; 98 მანათს აიღებს ამავე მა-  
მულზე გამოცემულ 5-პროცენტიან გირავნობის  
ფურცელში იმ ფულის პატრონისაგან, რომელთანაც  
მოლაპარაკებული აქვს და 2 მანათსაც სესხის ამღებს  
გადახდეენებს შეღავათით ერთს ან ორს წელიწადს;  
იმ დრომდე კი ან თავის შეძლებიდამ დააყაროს, ან  
ზემოხსნებულ ფულის პატრონისაგან იყალებს და  
სესხის ამღებისაგან გადახდის შემდეგ ამ გალს გაის-  
ტუმრებს.

შორელ ამ ოპერაციის დროს ბანკმა არაფერი  
არ უნდა იშარებოს, რადგან რაც კონკრეტისისათვის



ხარჯია საჭირო, ისევ სესხის ამღებს უნდა გადახდეთ ეძლევა. შეღავათი არ ეთქმის განა, რომ წელიწადში ექვის მანათის მავიერად ხუთი მანათი იჩადოს ყოველ ასის მანათის ვალზედ და მხოლოდ პირეელ წელიწადს, ან წელიწად ნახევარს, ვიდრე კონკრეტულის ხარჯს ვაისტუმრებს, იხადოს იგივე 6 მანათი, რასაც წინად იხდიდა? (\*) პრემია დაუგასება და ამისი ხარჯი, არც გიჩაენობის მოწმობის აღება ნორარიუსისაგან და ამასთან თან-დაყოლებული ხარჯი და წეალება, არც იმის შიში რომ კონკრეტულის დროს ჩემს მამულზედ რაიმე ეალი ან აღკრძალვა არ აღმოჩნდეს და ხელი არ შემიშალოსო, რაც ვადაგირავების დროს ძალიან ადეიტოდ შეიძლება მოხდეს. იანგარიშეთ ყველა ეს და ადეიტოდ მიხვდებით, რა დიდი ცოდვაა ბანკისათვის, თუ ის ყოველის ღონისძიებით არ ეცდება ამ გზით მოვალეს ტეიროთი შეუძლებულების.

\* \* \*

### დაუგრძელეთ ჩექნს ბანკს და თვალი გადავაკისეთოთ

(\*) აქ სიადგითვისთვის კრიო მანათის შეღავათი გამჭვეს ნახევრები, მაგრამ ჩვეულებრივ კონკრეტის დროს სესხის ამღებს შეღავათი მოსდის ცოტა ამზედ ნაკლები და ეს მეტ-ნაკლებობა დამოკიდებულია იმ ხანტები, რა ხანიც დარჩენიდია თვათ კადის სრულ გადახდამდე.



ლოთ, თუ ამ მხრიց ჩა მდგომარეობაში იყოს მათ  
უკანასკნელს წლებში და იღონა ჩამ ლონე თუ არა  
სესხის გასაიაფებლად? ამ წლებში მოხდა სწორედ რომ  
ექვს-პროცენტიანმა გირაენობის ფურცლების ფასმა  
ას მანათაში და კიდევ უფრო ზეით აიწია და სხვა  
ბანკის ხუთ-პროცენტიანი ფურცლები ფასობლენ ას  
მანათიანები 97,98, თეით ას მანათადაც. ჩაკი საქმე  
აქმდე მიეიღა და ჩეენს ბანკს კი ჯერ ნება არა  
ჰქონდა ხუთ-პროცენტიანის გირაენობის ფურცლე-  
ბის გამოცემისა, უმთავრესი ყურადღება საზოგადო  
კრებასაც და ბანკის გამცემისაც ამისათვის უნ-  
და მიეკუთა. საზოგადო კრებამ 1890 წელს თუმცა  
გადასწუყოტა კიდეც ამ ნების გამოიხოვა, მავრამ  
მოელმა წელიწადმა გაიარა, კიდრე ეს ნება-რთვა მო-  
ვიდოდა; მოელმა წელიწადმა მეტად მძიმემ და მე-  
ტად სახიფათომ ჩეენის ბანკისათვის. და როგორ  
სახიფათო არ ეოჭმის ამ წელიწადს, როდესაც სიძ-  
ვირემ სესხისამ ჩეენს ბანკს ძირის თხრა დაუწყო და  
ვისაც კი ლონის-ძიება ჰქონდა : იქიდამ თავის დალ-  
წევისა, შეუდგა ამის ცდას. ამ წლამდის თუ საკრი-  
ლიტო ბანკიდამ გაღმომქონდათ მამულები, ეხლა პირი  
უბრუნეს, უკანვე დაიწყეს დენა და სხვებიც თან გაიყო-  
ლიეს ამ საკრედიტო ბანკში, სადაც სესხს ხუთ-პროცენ-  
ტიანით იძლევოდენ და მაშასადამე ბევრით უფრო იაფად  
უჯდებოდათ სესხის ამღებთ. მართლაც 1887—90  
წლებში, ოთხის წლის განმავლობაში, საკრედიტო



ბანკიდამ ნახევარ-მილიონის სესხის შამულებისგადაციც  
მოაგირავეს ჩექნს ბანკში და მარტი 1891 წელს კი,  
მხოლოდ ხუთ თეთრი, ეიდრე ნ-პროცენტიან  
გირავნობის ფურცლების გამოცემის ნება-როგორ  
მოყიდოდა, უკანვე გადააგირავეს 300,000 მანათისა  
მეტი.

ძნელად წარმოსადგენია, პატარა კიდევ რომ  
დაგეიანებულიყო ნება-როგორ ნ-პროცენტიანების  
გამოცემისა, ამ სამასი ათასის მანათისას ჩამდენჯერ  
ასი ათასის მანათისა კიდევ სხეა მიჰყებოდა და  
როგორ შეიჩინეოდა ის საფუძველი, რაზედაც ჩექნი  
ბანკია დამყარებული. მხლა კი სულ სხეა, როცა  
ეს ნება-როგორ მოსულია და ბანკს შეუძლიან იმავ-  
პროცენტიან ფურცლებით გასცეს სესხი, როგორც  
სხეა ბანკები აძლევენ; სულ სხეა მეთქი იმისთვის,  
რომ ჩექნს ბანკს მრავალი უპირატესობა აქვს სხეა  
მოყილე ბანკებთან შედარებით. იმის ძირის ფული  
და სათაღარივო თანხა ნახევარ-მილიონამდე ასული  
და 17 წლის არსებობის გამო ნდობაც დიდი აქვს  
მოპოვებული. სხეა ბანკი, თუ სესხის გაცემაში  
კანონიერს გზას მიჰყება, ამ მოცილეობას დიდხანს  
ერ გაუძლებს და ნება-უნებურად იძულებული  
შეიქნება ან იარაღი დაკარიოს, ან სესხი მამულის  
ფასის კვალობაზედ იმდენი აძლიოს, რომ ეს მამული  
საიმედო გირაოს აღარ წარმოადგენდეს და ეს უკა-  
ნასკნელი ღონე ხომ სულთ-მობრძანება იქნება,



მხოლოდ რამდენიმე წამით სიკოცხლის ნაძღვადები, ვად განვრჩელება.

ამავე 1891 წელს მოხდა კონკრეტული 75 მოლიონის გირაენობის ფურცლებისა კუელა საადგილ-მამულო ბანკებისა, მაგრამ ჩეენი ბანკი რა კონკრეტული გაერეოდა, რომ ჯერ უკლებაც არა პქონდა 5-პროცენტიან გირაენობის ფურცლების გამოცემისა. საშოგადოება დროინაედა, საყედურობლა ბანკის ვამცეობას ასე საჭის დაგვიანებას, მაგრამ თ. პავჭავაძეს ეს კუელაფერი მოსევნებას არ უფრთხობდა. მას რომ შეგნებული ჰქონდა, თუ რამდენად საჭირო იყო აჩქარება, განა ისე მოიქცეოდა, როგორც მოიქცა? ზანა არ ვამოიყენებდა, ეიმერიებო, იმისთანა კიდამ მოვლენილ შემთხვევას, როგორც ფინანსთა მინისტრის კოფნა იყო თბილი-სში და პირისპირად არ აუქსენიდა მალე ნება-როგოს მიღების საჭიროებას? ზანა მინისტრი უარს ეტუთდა ამისთანა საჭმეში, რომელიც იმისთვისაც სასურაველი იყო! მინისტრი თბილისში 1890 წელს სექტემბერში ბრძანდებოდა და მაშინ რომ ვამოეთხოვათ 5-პროცენტიან ფურცლების გამოცემის ნება, მასუკან მომხდარ კონკრეტული ადეილად გაერეოდება: მაგრამ არა, ამის მავიწრად თ. პავჭავაძემ გაპგზავნა ქალალდი და ისიც დაგვიანებული საკრედიტო კანცელარიაში, ყუჩი მოუყრესა და ის არჩია, კელოდოთ, ეილის თავისით საჭმე გაკეთდებათ. პრც თითონ



დააჩქარა, ამც სხვას დაანება ასაჩქარებლად, ალმაზი  
იმ იმედით, რომ ქალალდი თაერი გზას არ დაჰკარგავს  
და როცა იქნება, ხომ მოგვივა ნება-რთვაო. ის  
კი უელარ გამოიანგარიშა, თუ ამ დავეიანებით  
რამოდენი შარალი მოსდიოდა ბანკს, სახელი რო-  
გორ უტყვდებოდა სესხის სიძეირის გამო, ნდობა  
როგორ ეკარგებოდა.

\* \*

ზაიარა ამ სახიფათო წელიწადმაც, მოხდა ბანკის  
საზოგადო კრება 1891 წ. და მრავალ იმ საყვედუ-  
რის გამო, რომელიც გამოწევული იყო თ. ჭავჭა-  
ვაძის უქმობითა და გულ-ხელ დაკრიეფით ამისთანა  
შემცე და პასუხ-საგებ საქმეში, თ. ჭავჭავაძემ წარ-  
მოსთქეა შეღიზედ რამდენიმე თაერი გასამართლებე-  
ლი სიტყვა. მს სიტყვები თუმცა თ. ჭავჭავაძის გა-  
ზეთში ჩაბეჭედის დროს გაუშალა შინებიათ და ზო-  
გან განვებ შეუმოკლებიათ კიდეც; თუმცა აფრინი  
ცდილა, რომ მხოლოდ მსმენელთა გასამხიარუ-  
ლებლად წარმოიქმული ლათაიები და ბანკთან ახა-  
ფრის მქონე ფრაზები ამოეშალა,— მაინც პეერი რამ  
დარჩენილა ამ სიტყვებში, რაც დაგვეჩმარება იმის  
გასაგებად, თუ რაოდენის ცოდნითა და ლოგიკით  
აღჭურებილა თ. ჭავჭავაძე ამ ჩეილმეტის წლის გან-



მაკლობაში, ე. ი. მას აქტი, რაც ის ბანკის გამგებული  
გებლად ამოუჩიერიათ.

31. პავჭავაძემ ჯერ რისხეა-გრეგორიოთ მიშმართა  
თავის მოსაყველურეთ და ზოგიერთა გამგეობის  
წევრთაც, რომელნიც ძალას ატანდენ გამგეობას  
სესხის გასაიაფებლად ჯეროვანი ზომები მიეღო, და  
აი ჩა სთქეა სხეათა შორის: (ჩვენ ამ სიტუაციას  
კი კრი „იყერის“ ამ ნომრიდან, 1891 წ. 103 №,  
რომელიც ორი დღე ცხვა, რომ უფრო კარგა გამომ-  
ცხადდეთ).

„ბრალსა მდებენ, რატომ მინისტრი არა  
„ნახე, როცა თბილისში იყოვთ და არ იშუამდვომ  
„ლე ბანკის სესხის გაიაფების შესახებათ..... ჩა  
„გამოეიდოდა რომ მენახა კიდეც მინისტრი? (?!)? .....  
„განა შესაძლებელი არ არის ისეე ის გამოსულიყო,  
„რაც დღეს არის, ე. ი. დღევანდ ლამდე არ გადაწყვე-  
„ტილიყო ჩენი საქმე?... ბათუმის საზოგადოებამ  
„მინისტრისა სოხოვა, ნება მიეცით თბილისის სათავად-  
„აზნაურო ბანქს, აქედგანაც დაიგრძოს მამულე-  
„ბით. მინისტრი დამპირდა, მიეცემ ნებას, თუ გამგეო-  
„ბა ამაზედ თხოვნას წარმოადგენსო. ეს 8 დეკემბერს  
„მოხდა. ორის კეირის შემდეგ ჩენ თხოვნა გავვზად-  
„ნეთ ამის შესახებ და აქამდის პასუხი არ მოსელია  
„ბათუმელებს. (?!)?..... ეთქვათ ჩემის მისელით გა-  
„მეცეთებინა ეს საქმე და ქალალის გამოცემის ნე-  
„ბა-როვა მიმედო, რა გვონიათ, ბ-ნო ფინანსისტებო,



,, შეიძლებათ კი კონვერსიის ებლავ დაწყება? (III)  
,, ცხრა მიღიონი სესხი გვაქვს გაცემული, კონვერსიის  
,, დროს ეს ცხრა მიღიონი ექვს-პროცენტიანი გი-  
,, რავნობის ფურცელი უნდა დაგვეხსნა და შეგვე-  
,, ტანა ახალი ხუთ-პროცენტიანი ფურცელები ამდენივე-  
,, აშერაა, რომ ყიდეის (!!!) დროს 6-პროცენტია-  
,, ნის ფურცელის ფასი დარქმეულს ფასს ზევით  
,, აიწევდა (!!!!!), ვაყიდეის დროს კი 5-პროცენტიანი  
,, მაღიან დაიწევდა, იმიტომ რომ 5-პროცენტიანის  
,, ცხრა მიღიონის ქაღალდის განალება ერთბაშად,  
,, თუ ცოტა-ცოტა არ შეეიღა ბირეაზედ, მაღიან  
,, გააითვებდა ამ ქაღალდს და 6-პროცენტიანს გააძეი-  
,, რებდა. რჩეულ შემთხვევაში ზარალი იყო. ზანა  
,, აგრე ადეილი იყო ამ საქმის გაყეთება? ჩეენი ფი-  
,, სანსისტები იტუკიან, მაღიან ადეილი იყოთ. მოქეათ,  
,, ადეილი იყო. მერე სურვილს კი მიეაღწევედით,  
,, ე. ი. მსესხებლებს გზას შეეუკრაედით, რომ საკრე-  
,, დიტო საზოგადოებაში აღარ გადასულიყვნენ? ვერა,  
,, ვერ შეეუკრაედით, რადგან ჩეენი 5-პროცენტიანი  
,, გირავნობის ფურცელები აგრე ერთბაშად ბირეაზედ  
,, მისევის გამო შესაძლებელია 80 მან. ლირებული-  
,, ყო (?!) იმათი ობლიგაცია კი 98 მან. ლირს. დიდად  
,, დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ დიდის სი-  
,, ფრთხილით და ისიც ოთხის წლის განმავლობაში  
,, თუ შეიძლება ამ კონვერსიის დამთავრება..... თუნდ  
,, დღესაც ხელთა გვერმდეს ეგ 5-პროცენტიანი გი-



,, რაენობის ფურცლები, მაინც გიჩჩევდით, მისუცავა  
,, დეთ, რა ლონის ძიებას იხმარებენ და როვორ  
,, გაიღლოან მაგ კონცერსის გზას რუსეთის საადგილ-  
,, მამულო ბანკები. ვიმეორებ, აქ ერთის მხრით  
,, ცხრა მილიონი 6-პროცენტიანი ფურცლებია გა-  
,, მოსახსნელი და მეორე მხრით ცხრა მილიონი  
,, 5-პროცენტიანი ფურცელი შესატანი ბირეაზედ და  
,, ამას კი დიდი სიფრთხილე, დიდი წინ-დახელულობა  
,, და დიდი მანძილზედ თვალის გადაწყვდენა უნდა,  
,, რომ კაცმა ეს რიგიანად და უზარალოდ მოახდი-  
,, ნოს.“

ოუტა ერცლად ამოეწერეთ ეს სიტყვები თ. ჭავ-  
ჭავაძისაგან სახალხოდ წარმოთქმული და მისგან ეს სა-  
თუთად გადაბეჭდილი თავის გაზეთში, რადგან ეს არის იმის ხმალიცა და ფარიც, ეს არის იმისი სავე-  
რი იარაღიცა და სატევიც. ამოეწერეთ და თან ამო-  
წერის დროს გვაგონდება, რა ჩინითა და გურგეინვით  
აშშობდა თ. ჭავჭავაძე ამ კოთომ-და უცილობელ  
ჰემარიტებას, რა ძლევა-მოსილობა ეტყობოდა სა-  
ხენედ, რაკი დარწმუნებული იყო, რომ თავის თაყ-  
ვანის-მცემელთაგან საქმის განუჩინელად მარტო ბა-  
ლი-ალას გაიგონებდა.

მაგრამ კარგად ჩაეუკეირდეთ ამ სიტყვებს, გა-  
ფიგოთ მათი მნიშვნელობა და ყოველს ნაბიჯზედ  
დაერწმუნდებით, რომ მათს წარმომარტველს სრუ-  
ლიად არა ესმოდა-რა იმ საქმისა, რასაც ასეთის



სითამაშითა და სიამაყით ასწავებდა თავის მნიშვნელებს.

31. პავჭავაძე ბრძანებდა, მინისტრის ნახევით არა გამოეიღოდობათ; აი, ბათუმში, პირადად სოხოვეს მინისტრს, მაგრამ მაინც დღემდის არა გამოეიღა-რათ. მერე ეიკითხოთ, ერთი, დღეს ბანქს უფლება აქვს თუ არა ბათუმში სესხის გაცემისა? წარმოიდგინეთ ჩომ აქვს და ეს ნება-როგა მნიშვნელოვდ იმიტომ არის მოსული, ჩომ ბათუმელებმა ეს პირის-პირად სოხოვეს მინისტრს იქ გაფლის დროს, თორებ თუ მარტო ქალალდის გაფზავნით გამოსულიყო ჩამე, განა მტკნარი უარი მოუყეიდოდა გამდეობას ამ საქმის შესახებვე სამინისტროდამ? ქალალმა უერ გასჭრა, უცხო პირთ პირდაპირ მოახსენეს მინისტრს საქმის გარემოება და ამ პირდაპირმა ნახევ და საქმის გამორკვევამ მოახდინა ის, ჩომ დღეს ჩეგი ბანკი სესხს აძლევს ბათუმის მამულებშედ. პხლა ესა ბრძანეთ, განა «მცენარისა და გზიანის» მოქმედს შექვერის საბუთად გამოიყენოს ის, ჩაც მის სიტყვებს ასე აშკარად, ასე თეალსაჩინოდ ამტკნებს და ჩაც პირიქით ცხადად ამტკიცებს იმას, რის უარ-ყოფასაც ცდილობს „მართლის მწევერეალის“ ხელში მჭერელი ოჩატორი?

ნებაც ჩომ გვეკონიდა ნ-პროცენტის ბილეთების გამოცემისა, შეეიძლებდით კი კონკრეტისის ებლავ დაწყებასაო? და თეითვე პასუხს აგებს, ჩომ შეუძლებელი იყო, ეს ასე უცემ დაგვეწყო, ჩაუგან



յոნցერსიის დროს 9 მილიონი 6-პროცენტიანი ფურულები უნდა გვეყიდნა და 9 მილიონისავე 5-პროცენტიანი ფურულები შეგვეტანა ბირჟაზედ გასასყიდადაო. აშენეთ, ყოდის დროს 6-პროცენტიანი ფურულის ფასი დარწმუნულ ფასს ზევით აიწევდა და გაუიღეს დროს კი 5-პროცენტიანისა მაღიან დაიწევდა. პმისთანა საქმეს, როგორც კონცერსია, ლიდი სიცრთხილე, დიდი წინ-დახელულობა და დიდი მანძილზედ თვალის გადაწევენა უნდაო.

აქ კალამი აღარ გვემორჩილება და ჩეენდა უნებურად იწევს თხუთმეტი გაოცების ნიშანი ერთად დასვეს. მოდით და ნუ გაიოცებთ, რომ ესეთი „ურთხილი, წინ-დახელული და დიდი მანძილზედ თვალის გადაწეველენი“ პირი საქვეყნოდ ჰქადავებს იმისთანა რამეს, რამიაც ოუტის ოდენი ცოდნა არ არის და ჰქადავებს იმისთანა სავანზედ, რომლისაც 17 წლის განმავლობაში მოვალე იყო, ანა-ბანა მაინც ესწავლა. მხლავე ენახავთ, მართალს ეამშობთ, თუ არა.

\* \*

როცა კონცერსიაზედ ელაპარაკობდით, ევონებთ, ცხადად გამოეარყეით, რომ კონცერსიის დროს, უთუოდ უნდა ტირაეში გამოეიდეს უველა ის 6-პროცენტიანი ფურულები, რომელთაც კონცერსია შეეხება. შეიძლება ბანქს თუნდა ცხრა



მიღიონის გირაერნობის ფურცლები პქრისლესია  
გამოცემული, მაგრამ კონვერსია კი მოხდეს მხო-  
ლოდ ამ ჯამის ერთ ნაწილზედ, ან მთელ ჯამშედ  
ერთად. როგორც უნდა იყოს, მაინც კონვერსიის  
დროს საჭიროა ყოველ ას მანათიან ტ-პროცენტიან  
ფურცლზე ბანქმა მხოლოდ 100 მანათი ნაღდი  
იქონის ტიჩაფში გამოსულ ფურცლის პასუხის გა-  
საცემად. მანა წარმოსადგენია, რომ ბანქს 100 მანათზედ  
მეტი დაუჯდეს ის ფურცლები, რომელთა პატიო-  
ნიც კონვერსიისა და მაშასადამე ტიჩაფის დროს  
ერთ გზით 100 მანათზედ, დარქმეულ ფასზედ, მეტს  
ერთ მილებს და ნება-უნებურად ამ ფასს უნდა დას-  
ჯერდეს? მაში როგორ-ლა „აშერაა“, რომ კონვერ-  
სიის დროს ტ-პროცენტიანების ყიდვა დასჭირდებო-  
და თ. პარკერების და ამის გამო მათი ფასი 100 მა-  
ნათზედ, დარქმეულ ფასზედ, ზევით აიწევდა?!? ეს  
არამეც თუ არაესთების „აშერა“ არ არის, ფიქრ-  
შიაც კი ერთავინ გაიტარებს, მაგრამ თ. პარკერების  
თავისებურად ესმის კონვერსია და რომ ფინანსისტის  
აზრი არ გაიტებოს, თავის თეორიას სხვებსაც ზა-  
რითა და ზემით უზიარებს: კონვერსიის დროს 9 მილი-  
ონის ტ-პროცენტიანი ფურცლების ყიდვა მოგვინდე-  
ბა და ეს მათ დარქმეულ ფასზე ზევით ასწევსო. პან-  
ერისია და ყიდვა!! პკრისტეთ, ერთი, ამ თავისებურ  
ფინანსისტს, ეისგან უნდა ეყიდნა ეს ცხრა მიღიო-  
ნის გირაერნობის ფურცლები? წნდა პორტფელი ამოედო



იღლიაში, დაეცლო სათითაოდ, ჩაუ ქვეყანაზე ქალაჭ  
დაბებია და კარზე მისდგომოდა ყევლას, ვისაც კი  
ჩეკინის ბანკის გირაენობის ფურცელი ვააჩნდა? (\*)  
მაშინ ოთხი წელიწადი კი არა, ოთხასი წელიწადიც  
არ ეყოფოდა კონკრეტულისას, ჩადგან, ეიძრე სულ არ  
„იყიდდა“ ჩაუ დედა-მიწის ზურგზე 6-პროცენტიანი  
გირაენობის ფურცელებია, კონკრეტულისას ერ დააშოა-  
რებდა.

სხეუ ბანკებმა როგორლა მოახდინესო კონკრეტულისა,  
იქნება იყითხოთ. იმათ მოახდინეს ისე, როგორც  
ზემოდ აეხსენით. ჯერ-ჯერობით 75 მილიონისა  
5-პროცენტიანი ფურცელები გამოსცეს და სწორედ  
ამდენივე 75 მილიონი 6-პროცენტიანი ტიჩავში გამო-  
იყენეს, გააბათილეს; გააბათილეს ისე, რომ იქნება ის  
ფურცელები თვალითაც არ უნახაეთდა არც საყიდლად  
ძებნითთავი შეუწიუხებიათ; გამოაცხადეს, ესა და ეს ფურ-

(\*) გამგეობის მეორე წევრმა თ. თარისნიშვილმა  
გადაკვირვებული მეტი მეურათობა გამოიჩინა. ის ამერიკასა  
და გამჩატებაც კი არა ზარობდა: წასკვდას, ოღონდ  
შეკვდა გირაენობის ფურცელები შეესყიდნა, მაგრამ ნე  
დავივიწებთ, რომ თ. თარისნიშვილი მხოლოდ მეორე  
წელიწადია, რაც ბაზაში მსახურებს და იმას უფრო  
მეტი გარემო მოუთხოვება. მაინცა და მაინცა საჭიბურა,  
რომ მას ამ მოვლე ხანძი სე გარებად შეუფერებია თა-  
ვისა ცოდნა, და აზრები თავის უფროსის ცოდნასა  
და აზრებთან.

ცულები ტირაკში გამოვიდენ და პატრიონი ამა და ამ  
დღიდამ საჩვებელს ამ ფურულებზე აღარ მიიღებსო,  
კასაში მობძანდეს და ყოველს ამ ას მანათიანს გი-  
რავნობის ფურულებზე თავისი ასი მანათი თავინი ჩა-  
იბაროსო.

სხვა ბანკები რომ ასე მოიქცნენ, განა მათი  
მოქმედება სავალდებულოა თ. ჭავჭავაძისათვის? ან  
რა ცოდვაა, რომ თ. ჭავჭავაძემ, როგორც თავისე-  
ბურმა ფინანსისტმა, სხვა, თავისებური გზა გაიკვა-  
ლოს და ამ გზით გაიაროს? მაგრამ საქმე ის არის,  
რომ „გირავნობის ფურულების ყიდვა დარწმუნულ  
ფასს ზევით კონვერსიის დროს“ შხოლოდ თვალ-  
ში ნაცრის ჩასაყრელად იყო წარმოთქმუ-  
ლი იმ იმედით, რომ შე ეხლა სიტყვას ვერავინ  
შემომიბრუნებს და თუნდა შემომიბრუნოს კიდევ,  
ჩემი მომხრევი მაღლე ჩატუმებენ,— თორემ შეს-  
რულებით კი ეერ შესრულა და ვერც შე-  
ასრულებდა, ამიტომ რომ არამც თუ მოუხერხებელია  
და შესრულებელი, კუკაშიაც კი მოსახვლელი არ  
არის იმისთვის, ეისაც ცოტაოდნად მაინც ესმის  
ბანკისა და კონვერსიის საქმე.

მონვერსიაც რომ მოგვეწდინა, მაინც იმ შე-  
სხებლებს, რომელნიც საქრედიტო ბანკში გადადიან,  
გზას ეერ შეეუწიველით, რაღაც ჩენი ნ-პროცენტი-  
ანი გირავნობის ფურულები, ეგრე ერთბაშად ბირ-  
გაჭედ მისევის გამო, შესაძლებელია, 80 მან. ლი-



რეპულიკო და იმათი თბილიგაცია კი 98 მანათის  
ღირს.

ამას ამშობს თავმჯდომარე თბილისის სათავად-  
აზნაურო ბანკისა, რომელმაც ქარგად უნდა იყო-  
დეს, და თუ არ იცის, ეხლა მაინც უნდა შეივნოს,  
რომ ნდობა ჩვენს ბანკს თუ მეტი არა, ნაკლები  
არა აქვს თბილისის საკრედიტო ბანკზედ და როგორ  
მოხდება, რომ ფურცლები ამ ორის ბანკისა, ერთი-  
სა და იმავე პროცენტის მიმკერნი ასე სხვა-და-  
სხვაობდენ და სხვა-და-სხვაობდენ ისე, რომ მე-  
ტის ნდობის მქონეს უფრო დაბლა იდგეს ფასში,  
ეიღო მეორესი?! აქ ერთბაშად მისევა რა შეუშია?  
პროცენტისის დროს რომ ჩვენს ბანკს თუნდ ერთბა-  
შად ცხრა მილიონი 5-პროცენტიანი გამოეცა, განა  
აშის სამაგისტროდ ან გააბათილებდა ცხრა მილიონი  
6-პროცენტიანებს და ფულს არ გაანთავისუფლებდა?  
ზანა აშით ნდობა ჩვენს ბანკს მოაკლდებოდა რამე?  
და თუ არ მოაკლდებოდა ეს ნდობა, რა დასწევდა  
მის 5-პროცენტიანების ფასს სხვა ბანკის 5-პრო-  
ცენტიანებთან შედარებით და დასწევდა ასე ლო-  
ნიურად, ასე თვალსაჩინოდ, ას მანათშე თერაშეტის  
მანათით?!?

რომ ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა თ. ჭავ-  
ჭავაძისა კონკრეტისის შესახებ სიმართლესთან და  
ცოდნასთან კარგა მანძილზეა დაშორებული, ამტკი-  
ცებს იმისი მოქმედება ბანკის 1891 წლის კრების



**შემდეგ:** ეხლავ ეტ შევიძლებთ კონვენციისის დაწყე-  
ბასთ, პრიმერზე თ. ქაუჭავაძე და ერთ თევესაც არ  
გაუკელია ამავე კრების შემდეგ, რომ ის გაეშურა  
პეტერბურგს სწორედ კონვენციის მოსახლენად, შე-  
რე იმისთანა კონვენციისა, რომლის დროსაც ამერი-  
კაში წასელა არ დასკირდებოდა ნ-პროცენტიანის  
ფურცლების საყიდლად.

თუ დაუჯერეთ გამგეობის მოხსენებას 1891  
წ. ივლისის 28 საგანგებო კრებაზედ წარმოდგენილს  
კონვენციის საქმე სრულიად ვაჩარხული იყო  
და იმედიცა ჰქონდა პეტერბურგში მყოფს თ. ქაუ-  
ჭავაძეს ჩენი ბანკის გირაენობის ფურცლებს 100  
მანათიანს 99 მანათადაც დაბინაერებდა (\*); მხოლოდ  
ერთი რამ აკლდა — საზოგადო კრების ნება-როვა  
კონვენციის მოსახლენად. როგორ მოხდა, რომ  
ფრთხილს, წინ-დახედულს და დიდს მანძილზედ თვა-  
ლის გადამწერდენს თ. ქაუჭავაძეს დაერჩიყდა აღება  
ამ ნება-როვისა, ურთომლოდაც არამარტო მინისტრის არ  
უნდა გამოსცხადებოდა, თბილისიდამ ფეხიც არ  
უნდა გაედგა, — ეს არ ვიცით, მაგრამ ის კი კარგად  
გვახსოვს, რომ ზედამხედველმა კომიტეტმა საჩქა-

(\*) შეადარეთ ამ ამბავს იმისა, რომ სატესაბა, რომ  
კონვენციის დროს ჩენისა მ-პროცენტანმა გარდავნობა  
ფურცლების ფასში შეიძლება 80 მანათშე დაიწიოსთ, —  
ესეც წინდებულობას ერთი ნაუთვია.



როდ შეპყარა ზაფხულის სიცხვებში ჰემოსიუნებულის  
საზოგადო კრება და საჩქაროდევ გაუგზავნა თ. ჭა-  
ვეპავაძეს მოთხოვნილი ნება-როვა. ჩაკი ნება-როვა  
ასე მარჯვედ მივიღა, მაშ კონკრეტისის საქმეც უნდა  
დამთავრებულიყო; მაგრამ წარმოიდგინეთ რომ და-  
მთავრების მაგივრად მოღის წერილი თ. ჭავეპავაძისა,  
რომ მინისტრმა არ მიზრია (ჩაუკირდათ ერთი ამ  
«ა მინჩია».საც) ეხლა კონკრეტისის მოხდენაო.

მაშ ეტყობა აქ ოთხი წელიწადი არაფრისთვის  
საკირო არ იყო და თ. ჭავეპავაძე რომ პატარა აღრე  
შესდევომოდა საქმეს, კონკრეტისის ადეკლად მო-  
ხდენდა. ასე გამოღის ყოველ ამ მიწერ-მოწერილამ,  
მაგრამ ჩერებ დაჩრდინებულნი ვართ და დიდადაც  
დაჩრდინებულნი, რომ ჩაც უნდა დროზედ წაბრანე-  
ბულიყო თ. ჭავეპავაძე პეტერბურგს და ერთი დუ-  
ეინი ნება-როვაც თან წაეღო, მაინც ერთას გახდე-  
ბოდა ამისთვის, რომ ჩაკი კაცი რომელსამე  
საქმეს იყისრებს, ამ საქმის ეითარება ცოტათი  
მაინც უფრო კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებუ-  
ლი, ეიძრე თ. ჭავეპავაძეს კონკრეტისის საქმე ან  
კრების დროს ესმოდა, ან, ეიტყვით გამედვით,  
დღეს ესმის.

\* \*

საოცარიაო, იტყვიან: მუ თ. ჭავეპავაძე ასე



მოკლებულია ბანკის საქმის ცოდნას, როგორიცაა  
განაეგებსო მას დაარსებილამეე, ან ბანკის საქმეთა  
სელის რატომ მისი მაენებელი გაელენა არ ეტუ-  
ბო? ესეც, პირებელის შეხედვით, ერთი გამოცანაა,  
რომლის ახსნა და გამოჩევეება სრულიად საძნელო  
არ არის, თუ მყითხეველი არ დაიღალა და ცოტა-  
ოდენს ხანს კიდევ თავის ყურადღებას არ მოგვა-  
კლებს.

ჯერ ესა, რომ სელაც არის და სელაც. პი-  
ზორჩხალის ლოდიალისაც სიაჩული ჰქეიან და ოჩო-  
ქლის მაეალ მაშინის ფრენასაც და ჩეენი ბანკი თ.  
ჭავჭავაძის ხელში სწორედ კიბორჩხალისაეთ მიღო-  
ლიალებდა; თუ სხვა რაიმე გაფლენის წყალობით  
ფრითას გაშლიდა და ზრდას უმატებდა, რომ აზრი ბანკის  
დამაარსებელთა უფრო ნაყოფიერად შეესრულებინა,  
თ. ჭავჭავაძე მხად იყო ფრთხებიც შეეკვეცა და ზრდაც  
შეეჩერებინა. მს კიდევ არაფერი: თ. ჭავჭავაძის ხელ-  
ში ბანკმა არა ერთხელ და ორჯერ ისეთი დღეც გა-  
მოიარა, რომ კინაღამ სული განუტევა და თეთო ბან-  
კის გამგებელს თ. ჭავჭავაძეს იმის გამობრუნებისა  
იმედიც აღარა ჰქონდა. საჭიროა ჩეენს ნათქეამს და-  
სამტკიცებელი საბუთები და ციფირები თან მოვაყო-  
ლოთ, რომ მყითხეველმა თეთოეუ განსაჯოს საქმის  
სიმართლე და სიმტკიცე და მარტო ლიტონს სიტ-  
კაზე არ გენდოს.

ზემოდა ესთქვით, — ბანკის გამგებელთა უმთავ-



ჩესი ყურადღება იმაზედ უნდა იყოს მიქცეული, რომ  
მამულებზედ ჩომიერად გასცენ სესხი ე. ი. მამუ-  
ლის პატიონში ვალი დაგირავებული მამულის შე-  
მოსავლიდამ ვაისტუმროს ხოლმე მოელ იმ ვადის  
განმავლობაში, რა ვალითაც ვაღია აღებული.  
ეს არის თითქმის ანიც და ჰოეც ბანკის მოქმედები-  
სა, სადაც უნდა მისწერებოდეს მისი ხელი და სადაც  
უნდა აძლევედეს სესხსა: თბილისს, თუ მუთაისს, დე-  
რბენიდა თუ შამახის, ბაქოს, თუ ბათუმში. უკელ-  
გან უნდა აიწონ-დაიწონოს საქმის კოთარება, მიღებულ  
იქნას მხელეელობაში, თუ სად არის მოსალონე-  
ლი, რომ მამულების შემოსავალშა იმატოს, სად შემ-  
ცირდეს და ეს ყოველივე უნდა იყოს გზის მარენე-  
ბელი ბანკის გამგებელთათვის. რასაკეირუელია, ისიც  
არ უნდა დაავიწყეთ, რომ ერთისა და იმავე ფასის  
მამულზე თბილისში, მაგალითად, უფრო მეტი სესხი  
გაიცემა, ვიღრე საღმე ბაქოსა თუ პუბაში: რად-  
გან, თუ მამული ბანკს დარჩია თბილისში, ან თბი-  
ლისის გუბერნიაში, უფრო ადგილი მოსავლელი იქ-  
ნება, ვიღრე სხევან საღმე.

თუმცა სესხის სიუთხილით გაცემა უმთავრესი  
საქმეა ბანკის სხვა საქმეთა შორის, მაგრამ არც ისე  
საძნელოა, როგორც იქნება ზოგს ეფონოს. მამუ-  
ლის ნამდვილი შემოსავლის შეტყობას და ვაუნობას ყო-  
ვლ იმ გარემოებისას, რასაც შეუძლიან შემოსავლის შე-  
სამჩნევად შემცირება ან მომატება, თხოულობს ბან-



კის გამგებელთა და დამფასებელთაგან მხოლოდ შუალა  
ყაითებას, საქმის ერთგულებას და ცოტაოდენს  
ცოლნას შემოსავლის ანგარიშისას. აქ არც დიდი  
სიბრძნეა საჭირო, არც დიდი გამოცდილება.

მნახოთ, ახლა, რამდენი გასცა ბანკები დაარსე-  
ბილამ იანერის პირეელამდე 1891 წლისა და რამ-  
დენი ამ მამულთაგანი დარჩა ბანკს მყიდველის უშო-  
ვნელობის გამო, ან რა იზარალა ამ მამულებზე.  
ჩეენ იძულებული ეარო ბანკის მოქმედება ორ ხა-  
ნად გაეყოთ: დაარსებილამ 1883 წლამდე და 1883  
წლიდამ 1891-მდე. ამიტომ რომ 1883-მდე ბანკს  
ხელ შეუშლელად და სიტყვის შეუბრუნებლად გა-  
ნაგებდა თ. მაკევეაძე თავის ორ სასურელს ამჰანა-  
გებთან: თ. ჩოლაყაშეილთან და თ. პეალიშეილ-  
თან ერთად. ვამპობთ სასურელებთანაო იმისთვის,  
რომ იმავ სახსოვარ 1891 წლის კრებაზე თ. პაველ-  
ევაძემ ამ ორ პირს რაღაცა შემთხვევის გამო საჯა-  
როდ, ათასის მსმენელის წინაშე, ბანკის მხსნელნი, ბანკის  
ფეხზედ დამყენებელნი უწინდა და სრულის თავის გუ-  
ლის წყრომით აღიჭურვა იმათ წინააღმდეგ, რომელთაც  
მოიწადინეს ამ სამეცნის დაზღვევა. იმის ლაპარაკილამ  
გამოდიოდა, რომ ეს სამნი ფრთხილნიც ყოფილიან,  
წინ-დახედულნიც, დიდ მანძილზედ თეალის გადამ-  
წელენნიც და დიდი შეკოდება მოუყიდა იმას, ეინც  
ხელი შეუშალა ამ განუყრელს სამეცნას. მაშ აა  
პერა, რამდენი საიმედო სესხი გასცა ამ საამოდ შე-



ხამებულმა ტრიუმვირატმა ჩეა წლის განმაელობაში  
1883 წლამდე და რამდენი გაიცა ამისთანავე სესხი  
მასუან, როცა სამთა კაეშირი დაირღვა და ბანკის  
გამგეობაში ჩაერია არა ფრთხილი, წინ-დაუხე-  
დევი და დიდ მანძილზედ თვალის ექნ გადამწედენი  
პირი.

\* \* \*

ბანკის დაარსებიდამ 1883 წლამდე ბანკმა  
გასცა 4.401,700 მანათის სესხი (\*) და 1883 წლის  
შემდეგ კი 1891 წლამდე, ე. ი. მეორე ჩეა წლის  
განმაელობაში გასცა 6.964.900 მანათია. მთელ  
ამ ხანში ბანკს დარჩა 1.748.852 მანათის (კაპეჯებს  
არ კანკარიშობთ) მამულები; მათ შორის მხოლოდ  
260.000 თუ 270.000 მანათისა 1883 წლის შე-  
ძლევ მიღებული აღმოჩნდა, დანარჩენი სულ ამ  
წლამდეა დაგირაეებული. პროცენტობით რომ ერა-  
გარიშოთ 1883 წლამდე ყოველ ას მანათიან და-  
გირაეებულ მამულზე 33 მანათისა და 59 კაპეჯისა  
ბანკს დარჩენია მუშტრის უშოვნელობის გამო, ე. ი.  
მესამედზედ მეტი, და 1883 წლის შემდეგ კი ყო-  
ველ ას მანათიანზე მხოლოდ 3 მანათისა და 87 კა-

(\*) თათქმის უკუღა ეს ციფრები დაბუჭიდალ ანგა-  
რიშებიდამ მოგვაჭის.



პერიოდა, ე. ი. ოცდამეტუთედზედ კიდევ უფრო ნაკლებია  
ბი. ახლა ის რომ გაესიჯოთ თუ რა უზარალნია  
ბანქს ამ მამულებზედ, მაშინ განსხვავებას კიდევ  
უფრო თვალსაჩინოდ დაეინახავთ. 1883 წლამდე  
მიღებულ მამულებზედ ბანქს უზარალნია თავიში  
100.560 გ. და საჩვებელში 503.923 გ., სულ 604.483  
მანათი და ამ წლის შემდეგ მიღებულებზედ კი  
თავიში უზარალნია 545<sup>†</sup> მანათი და საჩვებელში  
სულ ას თუმნამდე (\*). ეკანგარიშოთ თუნდ ამაზედ  
ძეტი და ზარალი ჩავადლოთ 2000 მანათი თავიში  
და საჩვებელში; მაშინ გამოიდის, ამავე პრიცენტის  
ანგარიშით, რომ ყოველ ას მანათიან მამულზე,  
რომელიც 1883 წლამდე დაუფირავებიათ ბანქს უზა-  
რალნია 13 მან. 73 კაპ. და ამ წლის შემდეგ და-  
ფირავებულზე ყოველ ას მანათიან მამულზე უზა-  
რალნია სამ (3) კაპეიკშე ცოტა ნაკლები.

ოთხ მილიონ ნახევრის გაცემულობაზედ ექვსა-  
სი ათასი მანათის ზარალი,—აი მონალეაწევი თ. პა-  
ჭავაძისაგან ცამდე აყვანილ სამთა კაშირისა და

(\*) ეს უკანასკნელი ციფირი ანგარიშებიდამ არა  
ჩანს, მაგრამ ჩვენ ნამდვიალდ კაცით, რომ ამ მამულებზედ  
მეტი ზარალი არა უმოგადა, თუ სახეში არ მივიღებთ  
ზოდოვას მამულს, რომელაც 1889 წელს არის და-  
გირებული და რომლის ზარალიც უკა გამორჩეული  
არ არის.

\* უცხ. აუ. 120,545 (No. 339. N 2813. 1992.)



მასუეან კი შეიდ მილიონს გაცემულობაზედ შეიძლოა  
ლი მხოლოდ ორასის თუმნისა!!!

მს ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩია და 1891  
წლის ბანკის კრებაზედ შეეკითხნენ თ. ჭავჭავაძეს და  
მოითხოვეს ახსნა ამისთანა უცნაურის მოვლენისა.  
„მცენარისა და გზიანის“ მოლაპარაკებ თ. ჭავჭავაძემ  
აღახენა ბაგენი თეისნი და აი რა უპასუხა: აქაც სი-  
ტურა სიტყვით ამოვწეროთ, რომ უკეთ გაეიცნოთ თ.  
ჭავჭავაძის ლოგიკის ძლიერება და ისიც შეეიცნოთ,  
თუ როგორ მაღლა უპყრია „მართლის მწვერვალი“  
ამ „გულ-წრიფელს და ზე-ქეელს“ ორატობს.

„აქ სხეუ პასუხი განა შესაძლებელია იშის მეტი,  
„რომ გამოცდილებამ მართალი გზა დაგვანახეა, უფრო  
„დაგვაბრძენა ამ საქმეში?.... პხალ საქმეში გამო-  
„უკდელობა ყოველ აღამიანის ნაკლულევანებაა“...  
გეოგრაფიან: „რად შესკდითო? მართალია, შეეც-  
„დით, მაგრამ ნურას უკაცრავად კი და თქვენც შეს-  
„ცდით. მსეთი დამფასებლები ამოგეიყენეთ გვერდ-  
„ში, რომ თავის მოსსენებაში სწრრიდენ ხოლმე ითახს  
„ოთხი კედელი აქეს და კედლები ერთმანეთის  
„პირდაპირა სდგანანო (სიცილია). იმის შემდეგ ფუ-  
„ლი ბლობად მოვიდა, სახლების ფასმა აიწია,  
„მოეტიუელით, ასე გვევონა, სულ ასე იქნებაო.  
„პასობაში ტრანზიტი და ნამესტნიკება გააუქმეს,  
„ჯარები გაიყენეს, სახლების ფასმა უცბად დაიწია  
„და ხელში შევეტჩა. ჩასაკურეველია, ამ გარემოე-



„ბას ეივინდარას დამფასებლად ამოჩჩევამაც ხელი  
„შეუწყო.... ის გარემოებაც, რომ თეალ-უურის  
„დევნება იყო საჭირო, წარსულის გამოცდილებამ  
„დაგვანახეა. ხშირად კი ან ვერ გაეცდევნებოდი  
„დამფასებელს, როცა მამული შორს იყო საღმე,  
„ან ჩვენე შეგვცდებოდა.... დრომ გამოცდილება შე-  
„გეძინა და გამოცდილებამ კიდევ ჰქონა გეასწავლა.  
„თითონ (ამასა და ამას) პეითხეთ, ეხლაც ისეთის.  
„პეუისაა, როგორისაც უწინ იყო? (სიცილია).  
(„იურია“ 1891 წ. № 112).

ჩაუკიტილი ამ სიტყვას, კარგად გასინჯეთ და  
შეადარეთ, როგორც ერთი აზრი მეორეს, ისე თ.  
პავჭავაძის საბუთები უტყუარს და ნამდევილს ფა-  
კტებს და თუ მაშინ მის სიტყვებში ნახასს ნახავთ  
ან სიმართლისას, ან გულწრფელებისას, ან აღამია-  
ნის ლირების პატივისცემისას, მხა გართ ენა დაეფ-  
დუმოთ და მძიმე ბრალეულობა კი ისწიოთ.

ჯერ ერთი ესა, რომ დიდად უმთავრესი წილი  
ამ საზარალო მამულებისა 1881 წელს და 1882 წ.  
არის მიღებული პანკში და რატომ არ უშველა  
თ. პავჭავაძეს და მის ტრიუმფირებს წინა ექვს წე-  
ლიწადში შეძენილმა გამოცდილებამ, თუ კი აკ  
მართლა განსაკუთრებული გამოცდილება იყო სა-  
ჭირო? ან როგორ მოხდა, რომ სწორედ 1883  
წელს მოიპოვა თ. პავჭავაძემ ეს გამოცდილება,  
როცა ხელი შეეშალა და აღარ ამოუწიოს წევრად.



ერთი განუყრელი ბანკის მხსნელი თანამშრომელთა-  
განი და მოიპოვა ისე, რომ მასუკან, რეა წლის  
განმაელობაში, თითქმის აღარც ერთი შეცდომა  
აღარ მოსცელია? თითქმისო, ეამბობთ, იმიტომ, რომ  
ამ გამოცდილებამ უმტკუნა 1889 წელს ზიალოების  
მამულის აღებისა და ამ ცხრადგან დაგირაცებულს ქო-  
ნებაში 36000 მანათის სესხად ფაცემის დროს; უმტკუნა  
სწორედ მაშინ, როცა გამგეობაში პრძანდებოდენ  
მხოლოდ ფრთხილნი, წინ-დახედულნი და დიდი  
მანძილზედ თეალის გადამწედებინი თ. ჭავჭავაძე და  
თ. ჩოლოკაშვილი და მესამე წეერი კი, რომლის  
გაუფრთხილებლობასა და წინ-დაუხედეელობაზედ თ.  
ჭავჭავაძე წამ და უწუმ ჰქადაგებს, ბანკის საქმეების  
გამო სხვაგან იყო გაგზავნილი?

ან იყოთხეთ ერთი, თუკრება მართლა იმისთანა  
ეკიცნდარა დამფასებლებს ირჩევდა, რომელთა სასა-  
ცილოდ ასაგდებად და კრების გასამხიარულებლად  
თ. ჭავჭავაძემ ოთხის კედლის ამზადი მოიტანა, განა  
უფრო მეტი სიფრთხილე და წინ-დახედულობა არ  
ეჭირებოდა ამ გეარ დამფასებლების მოხსენებათა  
გასინჯეას? ზანა მისუმოდა იმუდენა სესხი, რომ  
სამოციათას თუმანზედ ბევრად მეტი ზარალი მოსელო-  
და ბანკს ამ დამფასებლების წყალობით? ან რა  
უშლიდა ვამგეობას, ზედამხედველის კომიტეტისათვის,  
წარედგინა, რომ ამისთანა მავნე დამფასებელი სამსა-



ხურიდამ გადაეცენებინათ? და თუ ამ გვარ სასტუკუ  
ლონეს ჩაიძე მიზნით მოეწიდა, მოვალე მაინც  
არ იყო, რომ ყოველივე დაფასება, მეტადრე ამისთა-  
ნა დამფასებლისა, კარგად აეწონ-დაეწონა, ხშირად  
ადგილობრივ გაესინჯა და ისე გაეცა სესხი? პლეი-  
ლობრივ გასინჯეს სიშორე გვიშლიდაო. ახლა გა-  
დააელეთ თვალი ამ საზარალო მამულების სის, თუ  
თითქმის ყველა თბილისში არ იყოს, და მნელი  
იქნებოდა გამგეობის წევრთათვის გაესეირნათ და  
თაეიანთ თვალით ენახათ, თუ ჩაში აძლეველენ 20000,  
30000 მანათი და კიდევ მეტს, მეტადრე ჩაკი ამი-  
სთანა არა საიმედო დამფასებლები ეგულებოდათ?  
როგორ მოხდა, რომ თბილისშივე ა. ყორადნოვს  
მისცეს 12000 მანათი მამულში, რომელიც 5000 მა-  
ნათად ჰლიკს გაჰყიდეს; ლიკაშენკოს 6000 მანათი  
მისცეს 2000 მანათიან მამულში; ლუკარსამიძეს  
14000 მანათი მისცეს იმისთანა მამულში, რომე-  
ლიც იმავე „ვიგინდარა“ დამფასებლის მოხსენებაში  
ერთ აღმაგას 10500 მანათად არის მხოლოდ დაფა-  
სებული და 8000 მანათზედ მეტი იზარალეს; ერევეს  
დაუსრულებელს სახლში მისცეს ერთბაშად 18000  
მანათი, როდესაც ივივე „ვიგინდარა“ დამფასებელი  
ამბობდა, რომ ერთბაშად მიცემა შეუძლებელია,  
ნაწილ-ნაწილ უნდა მიეცეს გაკეთების კუალობაზე-  
დაო და ამ დაუდევრიბის წყალობით 10000 მა-



ნათი მეტი იშარალეს; 3. პორტანოეს მისცეს 33000  
მანათი ექრაზედ მამულში, რომელიც 7000—8000  
მანათზედ მეტი არა ღირდა ანუ ტრანზიტის, ანუ  
ნამესტნიკობის ღრის და თუმცა ამ აღვილას ცხე-  
ნის რეინის გზის გაყვანის შემდეგ ფასებმა თითქმის  
ერთი თარიღი იმატა, მაგრა იგივე 55000 მანათად  
დაფასებული მამული გამგეობას 14000 მანათადაც  
ეტ გაუყიდნია. მინ მოსთელის კიდევ სხეა ამ გეარ  
მაგალითებს, აქეუ, ცხეირ წინ, თბილისშივე მომხდარს,  
რომელთაც ბანქს აუარებელი ზარალი მოუტანეს  
მხოლოდ იმიტომ, რომ თ. ჭავჭავაძე მის თანამშრომ-  
ლებითერთ გამოკლილების შეძენაში იყვნენ გარ-  
თულნი.

ზარალი და მოვება შეები არიანო,—აი რითი  
იხდიდა თ. ჭავჭავაძე კიდევ ბოლიშს. დიალაც მე-  
ბი არიან, მაგრამ ეს ფრაზა ყევლას და ყევლაფერს  
მაინც ბოლიშს ვერ მოხდის. ამ სიტყვებით რომ  
თავის გამართლება შეიძლებოდეს, ყოველი გაკოტ-  
ხებული ბანკირი, თუ ვაჭარი მათ მიჰმართავდა და  
ბრალს აღეილად აიხსნიდა, მაგრამ საჭმე ის არის,  
რომ ზარალსაც თავისი ზომა უნდა ჰქონდეს და  
მოვებასაც. 1883 წელს რომ ბანქს მოქმედება შეე-  
ჩერებინა, ძეირად დაუჯდებოდა მას თ. ჭავჭავაძისა  
და იმის ამხანავთა გამოკლილების შეძენა. მაშინ  
ბანქს, მოელს იმის აელა-ლილებას რომ თავი ერთად  
მოუყაროთ, მხოლოდ 403,000 მანათის ქონება



ჰქონდა და ზარალის კი 600,000 მანათზე მეტისას  
მოედოდა.

ცხადი არ არის, რომ ესეთის ზარალის გერ აუ-  
გიდოდა მოელი ბანკის ქონება თავის ძირის ფული  
და სათაღარიგო თანხაც რომ სრულიად ზედ მიეჭ-  
ყლიტა? მას აქეთაც მოელმა რეა-ცხრა წელიწადმა  
ვაირა; ყოველ წლივ ნახევარი მოვება და ხშირად  
მეტიც მხოლოდ ამ ძეელის ზარალის დაფარებას უნ-  
დება და მაინც კიდევ დღესაც ბანქს თავი კარგად  
ვერ დაუღწევია ამ მხნე და ნაყოფიერ გამგეობის მო-  
ნალეაწევისაგან.

\* \*

ჩეენა ენახეთ ნიმუში თ. ჭავჭავაძის თავის გა-  
მართლებისა, როდესაც მის მოქმედებას კრიტიკულის  
თეალით შეხედეს, გასაკიცხს გასაკიცხი უწოდეს და  
საქებურის საქებური; ჩეენ გაერცანით ის ხერხიც,  
რომელსაც მიმართავს ხოლმე თ. ჭავჭავაძე ხალხში  
სიცილის გამოსაწვევად და იმათ დასამცირებლად,  
რომელნიც გამედუნ და წუნს რასმე დასდებენ ან  
მის სიტყვას, ან მის ნამოქმედარს; მაგრამ ჩეენ ჯერ  
არ ჩავუერვებივართ ერთს სხვა ვეარ ხერხს კიდევ,  
რის შეტყობისაც საჭიროა ამ „მჭერისა და გზიანის“  
ორატორის უფრო საფუძვლიანად გაცნობისათვის.  
მე მაბრალებენო, ბრძანებს თ. ჭავჭავაძე ერთ-



ერთ თაეის სიტყვაში, რომ გულ-ქვა ვარ და მოგა-  
ლის შეღავათს არ ვაძლევთ. მაგრამ თუ ასეთის  
,,გულ-ქვაობით ხალხს შევაჩევეთ ეალის ღროწედ  
,,შეტანას, სწორედ დოდ სამსახურს გაფუწვეთ.  
,,ქარგად ვიცა, რომ ბევრი ათასს ბრალს დამდებს  
,,ამ გულ-ქვაობისათვის. მაგრამ მე ასეთის ბრალისა  
,,არ მეშინან, როგორც იმ ექიმს, რომელიც აეად-  
,,მყოფს აჩინენს. ვალის პირნათლად გადაუხდელობა  
,,ჩეუნი მუწუკია, მე მინდა ეს მუწუკი გამოეჩიყო,  
,,რომ მოჩინეს და თქვენ კი მეუბნებით — რად მა-  
,,ტკინეთ, გულ-ქვა ხართ. მანა ეს გულ-ქვაობაა!“  
,,(„ოჯვრია“ 1891 წლის № 114)“

ნაჩროიდგინეთ სულ ეს რომ მართალი იყოს,  
რა საბუთი, და შეუჩუպელი საბუთი, ეძლევა თ.  
ჭავჭავაძეს უშიშარის ჩაინდის შესამოსეულში შეიმო-  
სოს და ჭექა-გერგეიინით შემუსროს თაეის მოწი-  
ნალმდეგე წუწუნა ქალაჩუნები, რომელთაც ყოველ  
მუწუკის გამოჩიყობაზედ ნერები ეშლებათ და  
გულს ეყრებათ! როგორ საქებური და სათაყეანებე-  
ლი არ არის ეს მტკიცე და შეუჩუპელი ხასიათი  
თ. ჭავჭავაძისა, რომელიც საზოგადოების სიკეთით  
გამსქვალულა, ოპერაციის ლესული დანა ხელი  
აულია და ჯანაოზ ექიმსავით უჩინეს წყლულსა და  
იარებს სნეულთა და კეთროვეანთა. მაგრამ ამ შე-  
დარებას პატარა ფრთა გააშლევის, ბოლომდე  
ჩაჟევით და გვიმჩინეთ: რას ეტყეით იმ ექიმს, რო-



მელიც მუწვევის გამორჩეულასა გპირდებათ, ხილ-  
ტბლესაც მუწვევთან ერთად გამოვიჩიშვილთ და  
სიქიოსაკენ ვიზამთ პირსა? საიქოს ვასტუმჩებას  
არა ჰგავს განა, როდესაც ორსა და სამს თუმანში,  
თუნდა ათსა და ოცში, უყიდიან უკანასკნელს მა-  
მულს იმისთანა პირს, რომელსც თავის ნაწეა-  
ნადავით ეს ბანკი დაუარსებია, თუმცა დარწმუ-  
ნებულნი არიან, რომ ამ ფულის დაცლით ბანკს  
არა დააკლდება რა და მამული ყოველთვის ერთ  
ნახევრადა და ერთი ორად მეტ ფასად გაიყიდება იმ  
ფულზედ, რაც დაგიხსევების დროს არის გატანილი?

მსეთი მაგალითები მარტო ერთი და ორი ას  
არის, მარტო ერთხელ და ორს არ გამოუკიდია ძალა  
თ. ჭავჭავაძის საოპერაციო დანისა. მჩაგალი ბანკი-  
საც დამუურნებელი უარიელზე დამჯდარა თავის  
მამულ-დედულისაგან; მაგრამ თ. ჭავჭავაძეს მაინც  
ეტრავინ უსაყველურებს, ასე რაც მოიქციოთ, ამიტომ,  
რომ ის ამ შემთხვევაში წესდებას მტკიცედ ასრუ-  
ლებდა, რომელიც არ აძლევს ნებას მამულზე და-  
სტოეთს რამე ყოველ წლიურ შესატანიდამ.

მაგრამ ყველას ნება აქვს, დიდია, თუ პატარას,  
დამუურნებელს, თუ მხოლოდ სესხის ამღებს, სამა-  
რთლიანის საყველურით მიმართოს ექიმისა და მუწვ-  
ების იგავის აეტორს და უთხრის: «დავვეთანხმებით,  
,,რომ რადგან წესდებას მტკიცედ შესრულება უნდა,  
,,არაეის შელავათი ალარ მისცეთ და ერთი მანათის



, გულისთვის ათას თუმნიანი მამული თუნდა ას  
,, თუმნად გაყიდოთ. მს თქვენი უფლება, უფლება  
,, უცილობელი და ხელ-შეუხებელი და ტუუილად  
,, აღჭურვილ-ხართ იმათ წინააღმდეგ, რომელნიც,  
,, ვითომ, ამ უფლების შესრულების გამო, თქვენ  
,, ჩალაცა ბრალსა გლეხენ და გულ-ქას ვიწოდებენ.  
,, ზანგებ იმისთანა ბრალის კისრად ალება, რომლის  
,, უარ-ყაფაც ადეილია და ამ უარ-ყაფის დროს  
,, პეტრის მხსნელის ხინლაში გახვევა,— ქსეც ერთი  
,, ფანდია წინააღმდეგთა დასამარტებლად იქნება კარგად  
,, გამოსაყენებელი, მაგრამ ეყადრება კი საზოგადო  
,, მოღვაწეს, თუნდა დიდი გაჭირება დააღვეს, ამასთა-  
,, ნა ფანდებს მიმართოს? გულ-ქაობას კი არაერთ  
,, გისაყელურებდათ, მაგრამ ნება კი ვვქონდა მოვე-  
,, თხოვა თქვენგან, რომ ყელასათვის ერთის საწყაოთი  
,, სწყოთ, ერთის ადლითა ზომოთ. თუ კი შ—ს მთე-  
,, ლი თავისი ქონება დაკარგებინეთ, ჯ—ი ათის  
,, თუმნის გულისთვის ცარიელზედ დასეით, ჩ—სას  
,, უკანასკნელი ლუუმა მოუსავეთ,— ჩა ნება გქონდათ,  
,, რომ იგოვე წესდება გვერდზედ მისდეთ და ჯ—ს,  
,, ა—ს, ო—ს, ქ—ს და მრავალ კიდევ სხეას ხუ-  
,, თას, ექვსას თუმნობით აცლიდით და ყოველ  
,, გერს შეღავათს აძლევდით? თუ კი თქვენგან  
,, ნაქები მუწუკის გამორწყობა ეგეთი უკედავება გვ-  
,, გონათ, რომ პირეულნი დასახოცადაც არ დაინდეთ,  
,, მეორეებზედ რატომ აღარა სცადეთ? ამასაც ხომ



„ვინ იტყვით, რომ პირეელთა მამულები საშიში  
„იყო და მეორეებისა არაო, როდესაც თქვენგან  
„ნანატრმა გამოცდილებამ სულ სხვა დაგვანახეა.  
„ვერც იმითი იმართლებთ თაეს, რომ აქ რაღაც  
„ასოები დაუსხავთ, რომლიც არა გამეგებაროა;  
„თუ საკირო იქნება, ეს ასოები გაიზღება, შეიქსება,  
„ვადაიქცევა სიტყვებად და ფრაზებად, იმისთვის  
„სიტყვა — ფრაზებად, რანც ჩინებულად დასურა-  
„თებენ თ. ჭავჭავაძის ენა-მწევრობას, სამართლია-  
„ნობას, მოუფერებლობას.“

\* \*

მათავებთ, და დასასრულ სრულის სიწრიფელით  
ვყიოთხებით ჩეენს თაეს: რა გააკეთა თ. ჭავჭავაძემ,  
რომელსამე საზოგადო ასპარეზზედ?

რა გააკეთა დრამატიულ საზოგადოებაში?

სხვათაგან ჩინებულად დაწყებულ საქმის უფრო-  
სობა ჩინდარა, ამ უფროსობაში მოვლა-გაზდის მა-  
გიერად სიკედილამდე მიიყენა და მიმკედარებული,  
სულთ-მობრძევი სხვათა მიუგდო საპატრიონებლად,—  
ეხლა თქვენ მოუარეთო.

რა გააკეთა „წერა-კოხეის საზოგადოებაში“?

არაფერი იმის მეტი, რომ ყოველსაც სასაჩვებ-  
ლო აზრის და დაწყებულებას მუხლს უსუთავდა თავის  
მოუწდომლობით და გულ-ციკობით.



რა გააკეთო სათავეადაშნაურიო სკოლის დამფუძნებელ საზოგადოებაში.

არაუერი, არაუერი, სტულიად არაუერი.

რად გარდაპქნა ქართული ყოველ ღლიური გა-  
შეთი?

შპნიშენელი, უსიცოცხლი, უსულო ქალალ-  
ის თაბახად, რომელიც მხოლოდ თ. ჭავჭავაძის პი-  
რადი, დიალ, ეიმეორებთ, პირადი ინტერესსა და წა-  
დილს ყუჩა-მოკრილ მონასაებით ემორჩილება.

დასასრულ, რა მიმართულება, რა ვზა აჩვენა,  
— რა გააკეთო, ყოველ დასახელებულ საქმის მსაზრ-  
დოებელ ბანკში, რომლის მოთავეედაც ის ითვლება  
დასაწყისიდამ დღემდე?

მთელის ჩეილმეტის წლის განმავლობაში ერ  
გაიცნო, ყერ შეითვისა ანბანიც კი ბანკის საქმისა,  
რომელზედაც ასე თამამად ჰქალაგებდა ბანკის კათე-  
დრილამაც და „თავის“ გაზიერის ფურცლებზედაც.  
მთელი ჩეა წლის განმავლობაში ისა და იმისი თა-  
ნა-მოზიარენი „ბანკის მსხნელნი“ გამოცდილებას  
იძენდენ და მათგან ამ გამოცდილების შეძენა ბანკს  
ნახევარ მილიონზედ ბევრად მეტი დაუჯდა და რა  
დაუჯდება შემდეგში,—ეს ლმერთმა უწყის. მასუ-  
კან, როცა ერთი გამოცდილი დედა-ბოძთავანი თ.  
ჭავჭავაძეს გვერდიდამ ჩამოაცალეს, ბანკმა პატარა  
სული მოიღვა და შეიძლო თავის ასპარეზის გაერ-  
ცელება თვისდა და სესხის ამღებთა სასაჩვებლოდ,



თ. ქარევაძე წინ გადაეღობა და იოტის ოდნალაციანი იზრუნა ბანკის კეთილ-დღეობისათვის. შეან დააყენა 5-პროცენტიან გირაენობის ფურცლების გამოცემის საქმე, შეაფერხა კონცერსა; უკან დააყენა და შეაფერხა იმიტომ, რომ არ ესმოდა არც თეთ საქმე და არც იმისი მრავალ-ფერი მნიშვნელობა.

და ჩოდესაც მოიწალინეს პირ-უთენცლად გასინჯვა თ. ჭავჭავაძის მოქმედებისა, მიუთითეს ნაკლულეანებაზედ, უჩვენეს, რომ საქმის ნამდვილ მცოდნეს არ შეეძლო ეთქვა ის, რასაც ლაპარაკობდა კრებებში ბანკის გამგეობის თაემჯდომარე, — სიტყვის შებრუნებას არ ჩეკულმა თ. ჭავჭავაძემ მიმართა თაერის გამართლების დროს იმისთვინა საშუალებას, რომელსაც მიმართაში მხოლოდ ის, ეისაც „კაცებურის ლინისების გრძნობის პატივის-ცემა“ მართლა თაეისებურად ესმის.

შოეელის-ფერი მოეთმინდა, თუ გნებავთ, მიერთება კიდევ საზოგადო მოღვაწეს: სიზარმაციუ, დროზედ უგულ-წრიფელობაც, თეთ თენდ ისიც, რომ მოპირდაპირე ჰყიუბოს, ჰყილოს და ათასის კაცის წინაშე შეეკითხოს, გუშინ თქვენ უფრო კუთხი იყავით, თუ დღეს უფრო კუთხიანი ხართო (ესეც ალბად მაგალითია ზრდილობისა და „კაცებურის ლინისების გრძნობის პატივის-ცემისა“), — მაგრამ ის კი მიუტევებელი და მოუთმენელია, რომ კაცი ფეხ ქვეშ სოფლებს სიმართლესაც და კეშმარიტებასაც თა-

ეს ამომჩნეველთა წინაშე! იმ ამომჩნეველთა წინა-  
შე, რომელთაც თავიანთ ბედი და უბედობა ამომ-  
ჩნეულის კალთაში გაუწევებით და ისე ბრძად და თვალ-  
ახეულნი ენდობიან, რომ იმის პირიდან ამოსული  
უმეტება მეტივერებად მიაჩინიათ, მრუდე აზრი და  
სიტყვა უმწევერეალეს მცენრ-მეტყველებად, ხაეს-მოკი-  
ლებული ოხუნჯობა დაუსრულებელის სიცილის წყა-  
როდ,— დიალ, ამისთანა დამყოლ, მინდობილ საზო-  
გადოების აბუჩად აფლება კი, ეიმეორებთ, არც მო-  
სათმენია, არც მისატყევებელი.

მაგრამ ეტყობა საზოგადოებაში თან და თან  
აზროვნება მატულობს, ბრძად თაყვანისკუმას ბო-  
ლო ელება და გზა ეხსნება ცოდნა-კულტურის სურ-  
ეილს, თუ კი თ. კაეჭავაძემ თავის სახელის გასახ-  
ლებლად და თაყვანის-მცემელთა განსამტკიცებლად  
მიმართა ამისთანა უცნაურ საშუალებას—ენა-უხვად  
და გულ უხვად თავის ქებას თავისსავე გაზეთში. ეტ-  
ყობა იმის მიმერთალებულ შარავანდების სხივებს მო-  
გარაყება ეჭირება, გუნდრუის მკმედელთა საცეც-  
ხლურის ნაკერანხლის შეკეთება, თუ თ. კაეჭავაძე არა  
კმარიბს პროზით თავის სახელის განდღებას და  
აწერინებს, თუ თითონა სწერს და ნობათად უძღვნის  
თავის გაზეთის ხელის მომწერლებს იმ ლექსს, რომ-  
ლითაც დავიწყეთ ეს პრარა წიგნი და რომლითაც,  
ცოტა გადასხეათერებით ვათავებთ. შადასხეათერება ის  
არის მხოლოდ, რომ თავში გამოკარა იყო ძალიან



აღეილად მისახეელი და ეხლა, რაკი გავიცანოთ ასეთი  
ილია ჰავეჭაძის მკერა-მეტყველება, სიმართლე, გულ-  
წრფელობა, სიმჩნე და მიუფერებლობა, ლექსი პირ-  
დაპირ პირელ პირზე გადაუკეთოთ და საშეილი-  
შეილოდ გადაუკეთ ჩამომავლობას ეს გაშეოს ფურ-  
ცლებზედ მიერწყობული ამბავი.

დიალ, სამართლიანად უნდა ამბობდეს თ. ილია  
ჰავეჭაძე:

მე არაეინ მყავს ბადალი, გრძნობის მცაცხლები  
მწერალი,  
ლომი ვარ, ოდეს განკრისხდე, მარად მომისა მდე-  
რალი,  
მიტყეო მკერასა და გზიანსა, მიპყრია მართლის  
მწერეფალი,  
ვარ ზე-მაღალი, გულ-წრფელი, მხნე, მსრბოლი,  
მოუფერალი.





մըկո 20 յօհ.